

დასავლეთი საქართველო



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

AVRIL

1936—№ 124

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ულან-ბატორის ოქმი.
 ბ. არმიე—მტრის ზეიმი.
 მ. უ.—ეკონომიური მიმოხილვა.
 ექ. თაყაიშვილი—აკადემ. ნიკო მარტი.
 დ. შ. ვიაროთ ყველამ ერთად.
 უცხოეთის მიმოხილვა.

ნაური—წერილი ამერიკიდან.
 საქართველოს საკითხი.
 ი. ჯ.—შოთა რუსთაველის დღესასწაული.
 პრესა.
 ომის საფრთხე და რუსეთის ემიგრაცია.
 ი.—ბიბლიოგრაფია. და სხვ.

უ ლ ა ნ - ბ ა ტ ო რ ი ს ო ქ მ ი

მოსკოვმა კიდევ მოაწერა ხელი ერთს ახალს ურთიერთ დახმარების პაქტს, რომელსაც განხვავებისთვის ოქმი დაერქვა. ამ შეთანხმებაში მეორე მხარედ გარეთ-მონგოლიის «სახალხო რესპუბლიკა» გამოდის. ოქმი შეიცავს ოთხ მუხლს და შევიდა ძალაში დღიდან ხელმოწერისა ულან-ბატორში, ე. ი. 12 მარტს 1936 წელს. წინასიტყვაობაში ორივე მხარე მეგობრობას ეფიცება ერთმანეთს, რომელიც დამყარდა ჩვენს შორის 1921 წლიდან, როცა «წითელი ლაშქარის დახმარებით» თეთრი ნაწილები გავდენეთ მონგოლიიდან, და 27 ნოემბერს 1934 წ., შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის განსამტკიცებლად და ჩვენი საზღვრების დასაცავად. «ჯენტლმენს ეგრიმენტი» დადევით ერთმანეთთან. პირველი და მეორე მუხლი ავალებს ორთავე მხარეს ფიცხელ ზომების მიღებას, თუ მესამე სახელმწიფო ემუქრება მათ, და იარაღით დახმარებას, თუ მუქარა თავდასხმად იქცა. მესამე მუხლში ნათქვამია, რომ თვითეული მხარე ვალდებულია თავის ჯარები გაიყვანოს მეორე მხარის ტერიტორიიდან, როცა გარეშე საშიშროება აცილებულია, ისე როგორც 1925 წ. საბჭოებმა გაიყვანეს თავის ჯარები მონგოლიიდან. მეოთხე მუხლში ნათქვამია, რომ ოქმი ათი წლის ვადით იწერება.

როგორც ხედავთ, სულ ცოტა დაკვირვებაც საკმარისია, რომ დარწმუნდეთ მოსკოვის დიპლომატიის სიფლიდესა და სივერაგეში. უწინარეს ყოვლი-

სა, თვალში გეცემათ ფრაზა «წითელი ლაშქარის დახმარებით»! ჩვენ, ქართველებმა, იგივე სიტყვები ამოვიკითხეთ სტალინ-მოლოტოვის მილოცვაში ძალად გასაბჭოებულ საქართველოსადმი მე-15 წლის თავზე. ისევე ურცხვად და უტიფრად, როგორც საქართველოსადმი, მოსკოვი ეხლა გარეთ-მონგოლიისადმი აღიარებს, რომ მან უკანასკნელის ტანჯულ და მაშვრალ ხალხის თხოვნით დაახმარა თავისი ჯარები. ვინ არ იცის, რომ 1921 წ. მოსკოვმა მხოლოდ სისრულეში მოიყვანა პეტერბურგის სამეფო მთავრობის მიერ დიდის ხნით განზრახული დაპყრობა მონგოლიისა. არა თუ დაიპყრო, ქვა-ქვანზე არ დატოვა მან იქ: მუსრი გაავლო პატრიოტულად განწყობილ მცირე ინტელიგენციას და ვინც გადარჩა, ლტოლვილთა მწარე ბედს განიცდის სამშობლოს გადაღმა; კონფისკაცია მოახდინა მთელი ქონების, გაცარცვა ღარიბიც და მდიდარიც და მთელი ხალხი მონად აქცია; ადმინისტრაცია, იუსტიცია, ჯარი მოსკოვის მიერ მიგზავნილ ჩეკისტებს ემორჩილება. განსაკუთრებით საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ქართველ მკითხველისთვის არაა ისე ცნობილი: მოსკოვი ათასობით მიერეკება გარეთ-მონგოლიაში სისხლით და ენით მონათესავე ბურიატებს, რომელნიც პირველ ადგილს იჭერენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და, ვინაიდან ისინი ყურმოჭრილად ასრულებენ რუს ჩეკისტების ველურ ბრძანებებს, ამით საშინელ სიძულვილს და სისხლის აღე-

ბის გრძობებს იწვევენ მონგოლებში ბურბიტების მიმართ.

ავიღოთ მეორე დებულება: მშვიდობიანობის განმტკიცება და საზღვრების დაცვა შორეულ აღმოსავლეთშიო! ვინ არღვევს მშვიდობიანობას 1921 წლიდან დღემდე? იგივე პირიშავი მოსკოვი! მაშ რით აიხსნება ცისქვეშა ვეება რესპუბლიკის ეგზომი ნგრევა და ანარქია, რომელიც დიდი ომის დაწყებისას თითქო ნელდებოდა და თანდათან ერთგვარი სტაბილიზაცია მყარდებოდა? ვინ გააწავა შუილი და ბრძოლა პეკინსა და კანტონს შორის, შემდეგ ნანკინსა და მუქდენს შორის, თუ არა იმავე მოსკოვის უთვალავმა პროპაგანდისტ-პროვოკატორებმა? საზღვრების დაცვა—განა მონგოლის საზღვრებს იმისთვის არ იყენებს მოსკოვი, რომ რაც შეიძლება მეტი იარაღი და ინსტრუქტორები შეაპაროს ჩინეთში, შექმნას იქ ნამდვილი რევულიარული ჯარები, რომელნიც დღესაც არ აძლევენ მოსვენებას ნანკინის მთავრობას?

როცა ამბობენ იაპონიის იმპერიალიზმზე, ადვილად ივიწყებენ საბჭოთა იმპერიალიზმს, რომელიც არ ერთდება არც ერთ ბინძურ საშუალებას თავის ქვენა მიზნების განსახორციელებლად. იაპონიის გამოსვლა, თუ გნებავთ, ერთგვარი მოგვრებაა ამ დაუბრუნებელ და ვერაგი მტრის. მანჯურიის ჩინეთიდან გათიშვა პირველად სწორედ მოსკოვის საქმე იყო, შემდეგ აშკარა ომით ეცადა მისი ხელში ჩაგდება მარშალ ჩან-სო-ლინის მოკვლის მეორე დღეს, და თუ ვერ შესძლო, ეს მისი ბრალი არაა, აღმოჩნდა უფრო ძლიერი მეტოქე, რომელმაც ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაც კი წაართვა!

ხოლო მონგოლიას კიდევ უფრო მძლავრად ჩასუქიდა მოსკოვმა თავისი თათები. განა არ გაგეცინებათ, როცა კითხულობთ ოქმის მესამე მუხლს სავალდებულო ევაკუაციასზე, როგორც მე მოვანდინე 1925 წელსო! ევაკუაცია კი არა, სწორედ მას შემდეგ აავსო მოსკოვმა თავისი ჯარებით მონგოლია, აღმართა სიმარგინი, შექმნა საავიაციო ბაზები და საქმე იქამდის მივიდა, რომ მონგოლია, რომელიც მხოლოდ ავტონომიაზე ოცნებობდა ჩინეთის ფარგლებში, დღეს მანჯურიას ემუქრება «დამოუკიდებლობის» სახელით! განა არ იცის, ვინ სდგას მანჯუქუოს ხურგს უკან? იცის, რა თქმა უნდა, ისე როგორც მანჯუქუომ იცის, ვინ სდგას მონგოლიის უკან.

ამრიგად, მანჯუქუო-მონგოლიის დავა ნამდვილად იაპონია-რუსეთის დავაა, ეს ორი დიდი სახელმწიფო ემუქრება ერთმანეთს, საზღვრების შეტაკებებს ჰქმნის ხელფურად, «პატარა ომი» უკვე დაწყებულია.

როგორც თვითონ აღიარებენ, რასაც დიდი ომიც მოყვება ალბად. ამის მაჩვენებელია ტოკიოში მომხდარი სამხედრო «უჭი» (აჯანყება), რომელიც თითქო ჩააქრეს, ხოლო შედეგად პიროტას სამინისტრო შედგა სამხედრო წრეების სრული კონტროლის ქვეშ. მკითხველს უთუოდ გაეგონება, რომ «უჭის» ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთზე გალაშქრების მომენტი გაუშვითო. ჩქარობენ, მაშასადამე, მოემზადონ მახლობელ ხელსაყრელ მომენტისთვის. ჩრდილოეთ ჩინეთშიც ამიტომ დაისახეს მიზნად ადგილობრივ კომუნისტურ ნაწილების მოსპობა, ამისათვის ნანკინის მთავრობასთან იწყებენ მოლაპარაკებას ბლოკის შესაკრავად.

ნანკინმა პროტესტით მიმართა მოსკოვს მონგოლიასთან დახმარების ოქმის შეკვრისთვის: მონგოლია ჩინეთის ნაწილია და ეს შენც იცანი 1924 წელს მუქდენის ხელშეკრულებითო. მოსკოვი უპასუხებს: დიახ, მე ვიცანი ჩინეთის უზენაესობა მონგოლიაზე, დღესაც არ უარვყოფ ამას, მაგრამ ოქმი არაა მის წინამდევ მიმართულიო. მოდი და კითხე მოსკოვიტებს! საერთაშორისო ხელშეკრულებას სდებენ დამოუკიდებელი, უზენაესი სახელმწიფოები, თუ მონგოლიაზე უზენაესობა ჩინეთს ეკუთვნის, როგორ შეეძლო მას ოქმი დაეწერა მოსკოვთან?

და სწორედ ამიტომ უწოდეს ვეროპაში ამ აქტს რუსეთის პროტექტორატი მონგოლიაზე. ჩვენთვის ხომ ესეც არ გამოხატავს სიმართლეს, ამორ და გენდუნ, რომელთაც მონგოლიის მხრით მოაწერეს ხელი, ისეთივე ყმანი არიან მოსკოვის, როგორც საქართველოს «კომისრები». ქვეყანა მოსკოვს უჭირავს ხელში 15 წელიწადია და თარეშობს იქ, როგორც თავის სახლში.

მაგრამ მოსკოვი მაინც იძულებულია საერთაშორისო აქტით შეეკრას გარეთ მონგოლიას და ეს ფაქტი თავის თავად დიდი მნიშვნელობისაა უკანასკნელისთვის, რადგან მას ეხლა გზა ეხსნება, ფორმალურად, მოსთხოვს მოსკოვს თავის ტერიტორიის დაცვა, და თუ ვერ მიაღწევს ამას, სხვა სახელმწიფოებს მიმართოს ჩარევისთვის. დღევანდელ ბითურ პირობებში, როცა სახელმწიფოთა სიტყვა და საქმე ასე დაშორებულია ერთმანეთს, შეიძლება, ასეთი უფლებრივი გზა სასაცილოდაც არ ეყოს მკითხველს: საქართველოს უკეთესი აქტი ჰქონდა მოსკოვთან დადებული და რა გამოვიდა აქედანო! არაფერი, სამწუხაროდ, მაგრამ ვისი წყალობით?

კითხეთ იმავე ვერაგ მოსკოვს, აღიარებს თუ არა ის დღეს საქვეყნოდ, რომ საქართველო დამოუკიდებელია.



კიდებელი, უზენაესი სახელმწიფოა? არა, რასაკვირველია, და განსხვავებაც სწორედ ამაშია. მონგოლიის საზღვრებს მიაღდა იაპონია—აი მიწები მოსკოვის მიერ მონგოლიის დამოუკიდებლობის ცნობისა, მაშასადამე, გარეთ-მონგოლიამ მოიგო, მართალია, ჯერ იურიდიულად, მაგრამ ვინ იტყვის, რომ სიტყვა საქმედ არ იქცევა? საქმე იქამდის მიდის, რომ მოსკოვი იძულებულია მტკნარი სიტუაცია შექმნას, რომ მე მონგოლიასთან «ჯენტლმენს ეგრიმენტი» დავდევი 1934 წელს. მოიგონეთ, რას ნიშნავს «ჯენტლმენ» და შეადარეთ იმ ბანჯგვლიანთ, რომელნიც კრემლში სხედან!

არა, საქმე უფრო სერიოზულ სახეს იღებს: ოქმი ათი წლის ვადითაა. ეს ნიშნავს, რომ მოსკოვი უფრო ადრეც მზადაა დასცალოს მონგოლია მზავსად ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზისა. რასაკვირველია, სტალინი ფაფურაობს მონგოლიისთვის სისხლს დავდგრიო, მაგრამ, გული საგულეში რომ ჰქონდეს, ის არ აქარდებოდა და ერთის მაგიერ ორ საბუთს არ დაუწერდა მონგოლიას მონობიდან განთავისუფლებისა. გაცილებით უფრო მწარეა და მძიმე შედეგებით, როცა საკუთარ ტერიტორიიდან მოკურონ ერთ ნაწილს, რას ეტყვი შენს ხალხს? მონგოლია კი ჩვენი არ არისო—აცხადებს სტალინი, მაშასადამე, სხვისი სხვამ რომ წაიღოს, არც ისე სამიზნა ხალხისთვის. აი, ნამდვილი დედაზრი «ჯენტლმენ» სტალინის დიპლომატიურ ნაბიჯისა ულანბატორში.



მ ტ რ ი ს ზ ე ი მ ი

საქართველოს გასაბჭოების, უკედ რომ ვთქვათ, საქართველოს ცეცხლითა და მახვილით დაპყრობის თუთხმეტი წლის თავი დიდი ზეიმი იქმნა გადახდილი მოსკოვის ხელისუფლების და მისი ტფილისელი აგენტების მიერ. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური ხელისუფლების დღესასწაული, ხოლო ქართველი ხალხისთვის, უფლება აყრილ ერისათვის ეგ თუთხმეტი წლისთავი იყო დიდი გლოვის დღე. დამპყრობელი და დამჩაგრელი სადღესასწაულად იყო განწყობილი, ხოლო დაპყრობილი და დაჩაგრული ერის არსება გლოვის უსაზღვრო მწუხარებით იყო მოცული.

დამახასიათებელია, რომ ზეიმმა განსაკუთრებით გრანდიოზული ელფერი მოსკოვში მიიღო და არა ტფილისში. ტფილისიდან მოსკოვს მივვარეს 146 კაციისაგან შემდგარი დელეგაცია—სხვადასხვა პრე-

ფესიისა და სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის პირები. მასპინძელი იყო საბჭოთა კავშირის ხელისუფლება თვით სტალინის მეთაურობით. დელეგაციამ სტალინს მიაჩნო «საქართველოს მშრომელთა წერილი», რომელზედაც ხელი უწერია «ერთ მილიონ ექვსას სამოცდაათ კაცს». დელეგატებმა წარმოსთვეს ბერიას კანცელარიაშია საგანგებო შეთითხნილი სიტყვები, ქება და ხოტბა საბჭოთა ხელისუფლების, სანთელ-საკმეველი უკმის «დიდ» სტალინს; დაპყრობილ ერის სახელით დამპყრობელს მადლობა გადაუხადეს, გასაბჭოებულ საქართველოს განსაცვიფრებელი მიღწევები ჩამოთვალეს, საქართველოს მშრომელთა განცხრომა და ბედნიერება აუწყეს. არც მასპინძლები ჩამორჩენ და მოლოტოვის პირით გასაბჭოებულ «ორდენოსან» საქართველოს აღმავლობისა და აყვავების სიმღერები უმღერეს, ხოლო წარჩინებული დელეგატები ორდენებით დააჯილდოვეს და საათ-პატეფონებით დაასაჩუქრეს. ამას მოყვა ნადიმები, ჭამა-სმა კარგად შესარგი, ქართული სადღევრძელოები და ქართული მრავალ-ქამიერ «დიდ» სტალინსა და საქართველოს დამპყრობელ ხელისუფლებას, წითელ არმიელის ჩექმას, სამშობლოს ზურმუხტოვან ხმელეთს რომ თელავს, და საქართველოს ჯალათს ჩეკისტს ბერიას.

ექვს გარეშეა, რომ დელეგაცია საგანგებოდ შეჩვენულ პირებისაგან შესდგებოდა, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ დელეგატთა შორის არ იყვენ ისეთებიც, რომელნიც კარგად გრძობდენ თავიანთ მდგომარეობის სიყალბეს; ასეთებისათვის ზეიმზე ნახული და გაგონილი უთუოდ დიდი ტრაგედია იქნებოდა, რომლის მიერ მიყენებულ ტკივილებს ათეული წლებიც კი ვერ განკურნავს. არ შეიძლება, რომ ეგ ზეიმი სრულიად აუტანელ სურათს არ წარმოადგენდეს იმ ქართველისათვის, რომელსაც კიდევ შეჩვენია ოდნავი ეროვნული გრძნობა და თავისი ღირსების ოდნავი პატივისცემა. ეროვნულ ღირსებისა და ეროვნულ სუფერენობის ვერაგულად ამხდელ მტრის წინაშე დაჩოქილნი დგანან დაპყრობილი, გაძარცვული ერის შვილები და მონურის მორჩილებით უგალობენ მას ქება-დიდებას. განა ამაზე უფრო მეტი დაცინვა, ამაზე უფრო დიდი საზიზღრობა კიდევ შეიძლება წარმოადგინოს ადამიანმა?!. საკმარისია წერელებად გადაიკითხოთ სტუმარ-მასპინძლების მიერ მოსკოვში და ტფილისში წარმოთქმული სიტყვები—განსაკუთრებით სტალინისათვის მირთმეული გალექსილი ოდა—რომ სრული სიმწვავით იგრძნობთ ეგ უდიდესი დაცინვა და უმაგალითო საზიზღრობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ერი გაძარცვა ეროვნულად, პოლიტიკურად და ეკონომიურად. ამის ნაცვლად მას აუგო ზაპესი და რიონჰესი, გაიყვანა ტფილისში რამდენიმე ახალი ქუჩა, გააშენა ციტრუსების ტყეები და ჩაის პლანტაციები... მერე რა შესძინა ყოველივე ამან ქართველ ხალხს? დაუბრუნა წართმეული ეროვნული თავისუფლება? გადაადრო კისრიდან მონობის უღელი? ან იქნებ ფიზიკური არსებობის სარწმუნოება მისცა და კუჭი მაინც გაუძღო, ტანი და ფეხი შეუმოსა? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ქართველი ერის სევტედს განაგებს მოსკოვი, ქართველი ერი ეკუთნის მოსკოვს და არა თავის თავს. ნივთიერად იგი ლატაკია და რომ ფიზიკური არსებობა შეირჩინოს, ნემსის ყურწში უნდა გაძვრეს, იმდენი ქონება უნდა შექმნას, რომ ბატონის ყაჩაღური მადა სავსებით დააკმაყოფილოს და კიდევ გადარჩეს რაღაც ნამცეცი, რომ შიმშილის მსხვერპლი არ გახდეს. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება გავისხენოთ წარჩინებული ქართველი სტახონოველის სიტყვა, რომელიც მან მოსკოველ ბატონების წინაშე წარმოსთქვა. იგი ამაყად აცხადებს, რომ ესლა მისი თვიური ხელფასი 1300 მანეთს უდრის. განსაცვიფრებელი ხელფასი იქნებოდა, რომ კომუნისტური მანეთი მანეთობდეს, მაგრამ საბჭოთა კავშირში 1300 მანეთის ყიდვითი უნარი უდრის პარიზში მხოლოდ 8-900 ფრ. ყიდვითს უნარს. პარიზში მუშის საშუალო 8 საათიან დღიური ხელფასი უდრის 40 ფრანკს, თვიური კი—თუ თვეში 25 სამუშაო დღეს ვიანგარიშებთ—1000 ფრანკს, ე. ი. იმაზე მეტს, რასაც საქართველოში სტახონოველი მუშა აკეთებს. მაგრამ სტახონოველი მუშები თითებზე ჩამოითვლებიან და მათი მუშური გამძლეობაც დღეობით ითვლება. სტახონოველ მუშისთვის არ არსებობს სამუშაო დღის საათებით განსაზღვრა, იგი მუშაობს დღიან-ღამიანად და დაუზოგავად ფლანგავს თავის ენერჯიას. მუშაობის ასეთი წესი მას ერთ თვეში, თვენახევარში უღებს ბოლოს და შრომის ინვალაიდად ქმნის. აბა ვისთვის არის საიდუმლოება ის, რომ დღეს სტახონოველებით აღვსილია საბჭოთა კავშირის საავადმყოფოები? ისიც ხომ ცნობილია, რომ სტახონოველობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშებში და ამ ნიადაგზე ხშირ თავდასხმებსა და მკვლელობებსაც აქვს ადგილი?

თუ ასეთია ქართველ სტახონოველის მდგომარეობა, რაღას უნდა წარმოადგენდეს ჩვეულებრივი მუშის ნივთიერი ავკარგი? მისი საშუალო ხელფასი 260 მანეთს შეადგენს, რომლის ყიდვითი უნარი და-

ახლოვებით 170 ფრანკს უდრის, ე. ი. გაცილებით იმაზე ნაკლებს, რასაც აქ მარტოხელი უმუშევარი იღებს დახმარების სახით.

ცხადია, რომ ქართველ ხალხს სახეიმო არაფერი აქვს, სამწუხარო და სავალალო კი ბევრი.


დღეს დღესასწაულობს და ხარობს დამპყრობელი ძალა, დაუძინებელი მტერი ქართველი ხალხისა; უკანასკნელისათვის კი ეს დღე გლოვისა და მწუხარების დღეა. ჭირსა და მწუხარებას გაძლება უნდა და ქართველი ერის გამძლეობაც ცნობილია. მოვადრო და მწუხარება სიხარულით შეიცვლება, ერი აღდგომას იზეიმებს და ქართველი ქართველს მხიარულად შესძახებს:

ერი აღსდგა! აღსდგა საქართველო!

ბ. არიძე.

ეკონომიური მიმოხილვა

ყოველგვარ ბრძოლას,—არის ის პოლიტიკური, ეროვნული, წმინდა სამხედრო თუ სხვა,—აქვს საერთო ძირითადი, ლოგიკური კანონები და მოთხოვნილებანი, რომელთა სრული გათვალისწინება და ასრულება აუცილებელი პირობაა გამარჯვების. მე-ბრძოლ ერს, განსაკუთრებით ჩვენს ჯოჯოხეთურ პირობებში, უპირველეს ყოვლისა ესაპირობება სწორი და რეალური ორიენტაცია, საღი ფსიხელი წარმოდგენა და დაფასება არა მარტო თავისი და მოწინააღმდეგის ძალების, არამედ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის, რეალურ ძალთა განწყობილების, მათში მომხდარ ცვლილებების, საერთო განვითარების ტენდენციების, და ეს იმიტომ, რომ შეეძლოს ყოველ გარდამავალ ისტორიულ ეტაპში შეუფარდოს, შეუკავშიროს საკუთარი ბრძოლის მიზნები მსოფლიო განვითარების ტენდენციებს, ხელსაყრელ პირობებს და დაეხმოს შეეჯგუფებას. სხვანაირად, განცალკევების გზით არც დიდი სახელმწიფოები მოქმედებენ საკუთარი საქმის დაცვაში, ისე გადაბმული, შენლართულია დღეს საერთაშორისო ძალები და ინტერესები; მით უმეტეს პატარა ერს არ შეუძლია სხვანაირად მოქცევა. პოლიტიკური ურთიერთობა ხომ ყოველთვის წარმოიშვებოდა ეკონომიურ ნიადაგზე, იმას ემყარებოდა, მით უფრო დღეს, როცა ქვეყნიერება ვანიცდის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიური წესწყობილების გარდაქმნის პროცესს, რომლის გარეგნული გამოხატულებაა დღევანდელი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი. სწორი ვაგება და დაფასება ეკონომიური განვითარების გზის, ერთად ერთ საიდუმლო კლიტვა პოლიტიკური პერსპექტივების ნათლად გათვალისწინების. სანამ შეუდგებოდეთ ეკონომიურ მიმოხილვას, საუბრობთ ალვადგინოთ მკითხველის მახსოვრებაში მთავარი დებულებები თანამედროვე ეკონომიური კრიზისის თვისებების, რასაც ჩვენ



ვრცლად შევეხებთ გასული წლების წერილებში*). პირველი დებულება აღიარებს, რომ განვიცდით არაჩვეულებრივს, პერიოდულს, არამედ სტრუქტურალურ ეკონომიურ კრიზისს, ე. ი. კაპიტალისტურმა წესწყობილებამ, რომლის ორგანული თანდათანობითი განვითარება დააჩქარა მსოფლიო ომმა და უზომო გადამეტებულმა მექანიზაციამ და ნაციონალიზაციამ, შექმნა შიგნით ისეთი ღრმა წინააღმდეგობანი, სოციალური და ტექნიკური, რომ შეუძლებელია ლიბერალური კაპიტალიზმის აღდგენა, თავისი ეგ. წოდ. «ავტომატიზმით» და ეკონ. ძალების «თავისუფალი თამაშით». მისი ძირითადი თვისებებია უთანასწორობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, დაგრძობა ერთის მხრით აუარებელი სიმდიდრის, მეორე მხრით კი მომხმარებელთა მყიდველობითი ძალის სისტემატიური დაცემა უმუშევრობის გამო. ლიბერალური კაპიტალიზმი თავის განვითარების გზაზე მივიდა თავის უარყოფამდე: რამდენად უფრო მაღალია საწარმოო ტექნიკა, ე. ი. რამდენად მეტი საქონლის გამოშვებას შესძლებს მუშათა მინიმალური რაოდენობით, იმდენად ნაკლებია მყიდველთა რიცხვი. წარმოებას ეკარგება აზრი.

მეორე დებულება: ეს კრიზისი არ გაიარს თავის თავად, შინაური ავტომატიზმის ძალით, როგორც ეს აქამდის ხდებოდა. განვითარების ეხლანდელ ფაზაში, ეკონომიურ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება შეუძლია მხოლოდ გეგმიან ეკონომიკას, ფართო სოციალურ ნიადაგზე დამყარებულს, ვინაიდან დღევანდელი მაღალი საწარმოო ტექნიკა მოითხოვს მომხმარებელთა მაღალს მყიდველობითს ძალას, მასების ნივთიერს კეთილდღეობას. აჩქარებულს საწარმოო ტექნიკურ პროგრესს უნდა მოყვეს აჩქარებული ცვლილება მისი სოციალ-პოლიტიკურ კალაპოტისა, ესე იგი უნდა იქნეს აღიარებული ძველთა ძველი უბრალო ჭეშმარიტება, რომ ეკონომიური საქმიანობა, წარმოება მომხმარებელთათვისაა და არა წინაუქმია.

მესამე და უკანასკნელი დებულება: ასეთი გეგმიანი ეკონომიკა, როგორც ხანგრძლივი გზა კრიზისიდან გამოსასვლელად, შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის ნიადაგზე და დემოკრატიული საშვალელებით. გეგმიანი კაპიტალიზმი, დამყარებული პირადი მოგების მოტივზე—უაზრობაა, კატასტროფის გზაა, განვითარების ლოლიკის ძალით უკან დათრევაა. პირიქით, გეგმიანი ეკონომიკის განხორციელების ერთად ერთი ორგანული შესაძლებლობაა—მისი დამყარება საზოგადო ინტერესებზე, ეს კი შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც საზოგადო ინტერესებს განაგებს საზოგადო ნებისყოფა, საზოგადო სურვილი, თავისუფლად გამოთქმული, ე. ი. დემოკრატიკაში.

ყველა ეს დებულებები სავსებით იქნა გამართლებული თანამედროვე ეკონომიური კრიზისის მსვლელობით. უკვე შეიძინა წელიწადია, რომ მძვინვარებს ეს კრიზისი, მაგრამ ავტომატური გაუმჯობესების, პერიოდული კონიუნქტურის არაფერი

სჩანს, თუმცა ეხლანდელ მძლავრ სამხედრო წარმოებას შეეძლო სხვა დროს გამოეწვია საერთო გამოცოცხლება ეკონომიური ურთიერთობის. ეკონომიური გაუმჯობესება, რამდენადაც აქვს მას ადგილი, ამ უკანასკნელ წლებში, არის შედეგი რამდენიმედ სამხედრო კონიუნქტურის, უმთავრესად კი გამომდინარეობს ეკონომიური სისტემის თანდათანობითი გარდაქმნისაგან, როგორც შედეგი სოციალ-ეკონომიური გეგმიანობისა. ამაში საყურადღებოა შემდეგი პარადოქსალური მოვლენა, რომელიც ამტკიცებს თანამედროვე კრიზისის არაჩვეულებრივს ხასიათს: მთელ რიგ სახელმწიფოში წარმოებამ აიწვია საგრძობლად, რამდენიმედ გადააცილა კიდევაც 1929 წლის, ე. ი. უმაღლესი კონიუნქტურის წლის პროდუქციას, მაგრამ უმუშევართა რიცხვი არ დაეცა შესაფერისად, როგორც იყო მოსალოდნელი ძველი საწარმოო სისტემის ლოლიკით. მაგალითები: იაპონიაში აიწვია პროდუქციამ 1930—1935 წლებში 45 პროცენტით, მაგრამ უმუშევრობა დაეცა მარტო ორი პროცენტით. დანიაში წარმოებამ გადააცილა 1929 წლის დონეს 20 პროცენტ., შვეციაში 8 პროცენტ., ინგლისში და ნორვეგიაში 50 პროცენტით, მაგრამ უმუშევართა რიცხვი დანიასა და შვეციაში 90 პროცენტით მეტია, ვიდრე კრიზისის წინ, ინგლისსა და ნორვეგიაში კი უმუშევართა რიცხვის ზრდა უდრის 80 პროცენტს. ეს მოვლენა იმის მაჩვენებელია, რომ, მიუხედავად სამხედრო კონიუნქტურისა და ზოგიერთი ქვეყნების კი საერთო ეკონომიური აღორძინებისა, რომელმაც გადააცილა კიდევაც 1929 წლის მაღალ შტანდარტს, მაინც რჩება ტექნოლოგიურ უმუშევართა დიდი რიცხვი, როგორც ქრედიტული მოვლენა. რომ მას ბოლო მოეღოს, საჭიროა რადიკალური სოციალური რეფორმები.

მსოფლიოს ეკონომიურ მიმოხილვას გაგვიადვილებს საგრძობლად დაჯგუფება ყველა ქვეყნების სამ კატეგორიად, იმის და შესვდებით, რამდენად და რა საშვალელებით შესძლეს კრიზისის შენელება.

პირველ რიგში განვიხილოთ მრავალფეროვანი დიქტატურები, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა სრულიად უნუგეშოა, და თუ რამდენიმედ მაინც ლაფავენ სულს, ესაა სამხედრო წარმოების გავლენით, არა კონსტრუქტიული მიღწევებით. აქ ბლომადაა სოციალური და ნაციონალური დემაგოგია, ლაპარაკი საზოგადო ინტერესებზე, მაგრამ საქმით, სინამდვილეში უმზავლესობა განიცდის შევიწროვებას, როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიურს.

სხვადასხვა ფერის დიქტატორული მოძრაობა დაიბადა როგორც მასიური რეაქცია კომუნისტური უკიდურესობის, მაგრამ ვერ შეინარჩუნა ეს მასიური ხასიათი და გადავარდა მეორე ანტი-სოციალურ უკიდურესობაში. როგორც აღვნიშნეთ, მაღალი სამრეწველო ტექნიკა მოითხოვს მომხმარებელის აწევას, ფართო წრეების კეთილდღეობას; კაპიტალისტური დიქტატურის გეგმიანმა ეკონომიკამ კი დისახა სულ წინააღმდეგი მიზანი—გეგმიანი კაპიტალიზმი დამყარებული ინდივიდუალურ მოგებასა და კონკურენციაზე, ესე იგი უმცირესო

*) იხ. «დამ. საქ.» № № 90, 91, 93, 108, 109, 110.



ბის კეთილდღეობა უმრავლესობის ხარჯზე. იგი ეყრდნობა იმ ეკონომიურს და სოციალურს ძალებს, რომელნიც ისტორიულად განწირულნი არიან, ამიტომ ის უეჭველად ისტორიული ეპიზოდია და არა ეპოქა.

რაც შეეხება საბჭოთა ეკონომიურ გეგმიანობას, რამდენად ის დარჩება დამყარებული ანტისოციალურ დიქტატურაზე, არის გარდამავალი ფორმა წარმოებისა. ამ ეტაპზე ის უხვად სარგებლობს იმ მდგომარეობას, რომ მის წინაშე დგას სულ სხვა, დიამეტრალურად მოპირდაპირე სამრეწველო ტექნიკური პრობლემა, ვიდრე კაპიტალისტური დიქტატურების წინ: ამ უკანასკნელებში მალალ სამრეწველო ტექნიკას აკლია შესაფერისი ფართო ბაზა მომხმარებელთა, ესე იგი მათ უნდა მოაგვარონ მხოლოდ განაწილების საკითხი მაშინ, როდესაც საბჭოთა სისტემამ უნდა დასძლიოს ჩამორჩენილობა სამრეწველო ტექნიკის, საერთო კულტურული, სოციალ-ეკონომიური და სწორედ ამ ცდამ მიიღო უკანასკნელს წელში უკიდურესი ანტისოციალური ექსპლოატაციის ფორმა სტანანოვის მოძრაობის სახით. მერე გერმანიასა და იაპონიასთან ომის საფრთხის გავლენით საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა რადიკალურად გამოეცვალა თავისი სავარყო ორიენტაცია ერთა ლიგისა და დემოკრატიულ სახელმწიფოებისკენ. ამავე ომის შიშმა იქონია გავლენა შინაურ ეკონომიურ პოლიტიკაზეც სხვადასხვა წვრილმანი კომპრომისების სახით. ყველა ეს ცვლილებები, როგორც სავარყო, ისე შინაურ პოლიტიკაში მოითხოვენ გაორკეცებულს ყურადღებას, რამდენადაც ამით იცვლება საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა, საერთაშორისო თუ შინაური. მსოფლიო განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, საბჭოთა ეკონომიური სისტემა არის ველიოკორუსის ისტორიული განვითარების პროდუქტი და საბჭოთა გზა იყო და რჩება საბჭოთა რუსეთის გზად, მიუღებელად მოწინავე ინდუსტრიალური ქვეყნებისთვის.

მეორე ჯგუფს მსოფლიო ეკონომიურ სისტემაში წარმოადგენენ დემოკრატიული სახელმწიფოები — შეერთებული შტატები, ინგლისი, შვეიცია, დანია, ნორვეგია და ბელგია, მათსადაც უმთავრესად ეგ. წოდებული სტერლინგის ბლოკის ქვეყნები. ხსენებული სახელმწიფოები გამტარებელნი არიან დემოკრატიული გეგმიანი ეკონომიკის და მიაღწიეს კიდევაც შედარებით თვალსაჩინო შედეგებს ეკონომიურ აღორძინებაში. აწარმოებენ ე. წ. ეკონომიურ ექსპანსიის პოლიტიკას, მიმართულს მომხმარებელთა მყიდველობითი ძალის აწევისკენ. ფართო წრეების შემოსავლის აწევით, წარმოების და მოხმარების წონასწორობის აღდგენისკენ მოხმარების გადი-დებით. ამ სისტემის საშუალებებია: ფართო ხელგა-შლილი პოლიტიკა კრედიტის და ფულის ტრიალის, შესაფერი საერთო ფინანსური პოლიტიკა, სასოგადო მუშაობის ორგანიზაცია, შრომის და შემოსავლის რეგულიაცია ფართო სოციალურ ნიადაგზე, მიზანშეწონილი სავარყო — სავაქრო პოლიტიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული ქვეყნების უმრავლესობამ უკვე გადააცილა კონუნქტურის უმა-

ღლესი — 1929 წლის — პროდუქციას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საგრძობლად შეამცირეს უმუშევრობა, მაინც დარჩა მალალი რიცხვი ტექნოლოგიურ უმუშევართა, როგორც ქრონიკული მოვლენა. ეს იმას ნიშნავს, რომ აღებული ეკონომიური გეზი სწორია, მაგრამ საჭიროა მისი (გეზის) ინტენსიფიკაცია, გაფართოება და გაღრმავება, სახელდობრ, სამუშაო დროის თანდათანობითი შემოკლება, სოციალ-ეკონომიურ კონტრასტების შესუსტება და სახელმწიფო-საზოგადო ეკონომიური ინიციატივის გაფართოება. ამას მოითხოვს ტექნიკური პროგრესი, თანამედროვე განვითარების ტენდენცია. და რომ ეს უთუოდ ასე მოხდება, ამის თავდებია ხსენებული სახელმწიფოების მტკიცე დემოკრატიული წესწყობილება, ვინაიდან მხოლოდ დემოკრატიას აქვს ნდობა და პატივისცემა ადამიანის, მისი ნივთიერი და სულიერი მოთხოვნილებების, ადამიანური და სამოქალაქო უფლებების. მხოლოდ დემოკრატიას ძალუძს სოციალური კონტრასტების ლიკვიდაცია, შებოჟვა ადამიანის პირუტყული ინსტი-ნქტების, რომელთა უმადლესი გამოხატულებაა ლიბერალური კაპიტალიზმის ძირითადი ნორმა — უძლიერესი უფლება.

მესამე ჯგუფს წარმოადგენს ეგ. წოდებ. ოქროს ბლოკი, რომელშიც შედიან საფრანგეთის მეთაურობით შვეიცარია, ჰოლანდია, რამდენიმედ ჩეხოსლოვაკია და სხვა. ეს სახელმწიფოები, თუმცადა დემოკრატიულნი, ჩამორჩენ ეკონომიურ პოლიტიკაში უმთავრესად იმიტომ. რომ აქვთ განსაკუთრებით ხელსაყრელი წონასწორობანი ეკონომიური სტრუქტურა და კრიზისიც იქ არ იყო ისე რთული და მწვევე როგორც სხვა ხსენებულ სახელმწიფოებში. ისინი აწარმოებენ კონსერვატორულს დეფლიაციონურ პოლიტიკას, რომელიც მიჯაჭვულია ოქროს ფულის ღირებულებაზე. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ოქროს შინაურმა ღირებულებამ აიწია, — შესაძლებელია შესაფერისად დაწვევა ნაწარმოების ფასების, ჯამაგირების და ხელფასის, რომ ამ საშუალებით აღდგენილ იქნეს ეკონომიური წონასწორობა. ცნობილია ამ მხრით ლავალის დეკრეტები, რომლებმაც დასახულ მიზანს ოდნავადაც ვერ მიაღწიეს. ეს გასაკვირი როდია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თანამედროვე სტრუქტურალური კრიზისის მთავარი მიზეზია ტექნოლოგიური უმუშევრობა და როგორც მისი შედეგი — მოხმარების დაცემა. მათსადაც კრიზისის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ფართო მასების შემოსავლის, მომხმარებლობის აწევით, არა წინაუქმოდ, და თუ დეკრეტებით შეიძლება ხელფასის და საერთოდ შემოსავლის დაწვევა, ფასების კი არასოდეს, და ეს იმიტომაც, რომ ეკონომიური აღორძინება კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში მოითხოვს ფასების აწევას, როგორც კალკულიაციის ხელსაყრელ ნიადაგს. სხვათა შორის ლავალის ასეთმა მიზანშეუწონელმა ეკონომიურმა გეგმიანობამ გაამწვავა საფრანგეთში ეკონომიური კრიზისი და, — როგორც მისი შედეგი, — პოლიტიკურიც, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთი მხრით, რომ დიქტატორული გეგმონიობის გზა გაკოტრდა

სხვა ქვეყნებში, მეორე მხრით კი იმას, რომ ამ მესამე ჯგუფის სახელმწიფოებში დემოკრატიას მაგარი ფესვები აქვს, ექვს გარეშეა, რომ ოქროს ბლოკი ახლო მომავალში იძულებული გახდება თავი დაანებოს ოქროს მონობას და დაადგეს სტერლინგის ბლოკის პოლიტიკას. ამგვარად, ოქროს ბლოკი მხოლოდ გარდამავალი ეტაპია, მისი მტკიცე პოლიტიკური დემოკრატიზმი მიიყვანს მას ეკონომიკური დემოკრატიის აუცილებლობამდე.

პოლიტიკური დასკვნები? მსოფლიო განვითარების ტენდენცია უქვეყნალად მიდის მარცხნივ, დემოკრატიისაკენ, როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიკურის. საზოგადო ურთიერთობაში ეს ნიშნავს გამარჯვებას თავისუფლების, თანასწორობის და ეთიკის პრინციპებისა, ადამიანთა და ერთა თავისუფლებას და თანასწორობას. იყო მომენტი სულ ახლო წარსულში, როცა მსოფლიო განვითარებაში სპარბობდა დესტრუქტიული ძალები. დღეს კი კონსტრუქტიული ძალები იკავებენ თანდათანობით სარბიელს. იპყრობენ ახალ ახალ პოზიციებს. ჩვენი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა ყოველთვის იყო დამყარებული დემოკრატიის გამარჯვებაზე, ერთა დივიის პრინციპებზე და ამ მხრით ჩვენს წინაშე ისახება იმედებით სავსე პერსპექტივა. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ პასიურად, ხელზე შეკრულებმა უცადოთ, სანამ გამარჯვებული საერთაშორისო დემოკრატია დაუბრუნებს ჩვენ ერს დამოუკიდებლობას. არც იმას, რომ ვაწარმოოთ შაბლონური, ერთ წერტილზე გაყინული პოლიტიკა. პირიქით, გვევალება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა ცვლილებანი, გადაჯგუფებანი, ახალი ფაქტორები, როგორც შინაური ისე საგარეო, რომლებსაც შეუძლიათ გაამაგრონ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ერის პოზიცია, ხელი შეუწყონ მის აღორძინებას, ეკონომიკურს, კულტურულს, ტექნიკურს და ეროვნულს. საჭიროა რეალური პოლიტიკა და მისგან გამომდინარე შესაფერი ინიციატივა.

მ. უ.

მასობელი მონათესავე ენებით და კილოვანებით განცალკევებულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, ამ ენათა ჯგუფს დაარქვა იაფეტური ენათა ჯგუფი, ეს ტერმინი პირობითია, რაკი ორ სხვა ჯგუფს სემიურს და ქამიტურს ნოეს შვილების სახელები ჰქვია, ამასაც მესამე ნოეს შვილის იაფეტის სახელი დაარქვა. შემდეგ სხვა კავკასიურ ენების შესწავლამ მარტი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყველა კავკასიური ენები, მცირე გამოკლებით (ოსური და თურქულია) იაფეტურ ენების ჯგუფს ეკუთვნის. სომხური ენა, რომელსაც ინდო-ევროპიულ ანუ არიულ ენათა ჯგუფს აკუთვნებდნენ, მარტის გამოკვლევით შერეული ენა აღმოჩნდა, სანახევროდ იაფეტური. სანახევროდ არიული. როდესაც სომხები, არმენები, მოვიდნენ კავკასიაში, მათ აქ დახვდათ იაფეტელები, მათ შეერივნენ არიელი სომხები, და გამომუშავდა შერეული ენა. ამით აიხსნება ნ. მარტის აზრით, რომ ძველი მწერლობითი სომხური ენა, გრაბარი, უფრო ნაკლებად ჰგავს ახალს ხალხურ სომხურს, ვიდრე პოლონური ენა რუსულს. შემდეგ იაფეტურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნა უძველესი წინა აზიის მკვდარი ენები, სუმერული, მიტანური, ხეტური, ქალდური, სკვითური, ახალ-ელამური და ასურული. შემდეგ ამავე იაფეტურ ჯგუფის ენათ იცნო უძველესი ხმელთაშუა ზღვის ნაპირების ხალხთა ენები, ეტრუსკთა ენა, ისპანიის იბერთა ენა, ბასკური, და შემდეგ ბალკანეთის ალბანთა ენაც. პირველად მარტი იმ აზრის იყო, რომ იაფეტელთა სამკვიდრო კავკასია იყო და აქედან გადასახლდნენ და მოედნენ სხვა ადგილებს, ხოლო შემდეგ შეიცვალა აზრი: არა კავკასია მარტოდ, არამედ მთელი ხმელთა შუა ზღვის ნაპირები უძველესი დროიდან სულ იაფეტელებით იყო დასახლებული და ესენი შეადგენენ მესამე ელემენტს ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის შექმნაში. იაფეტელები აღმოჩნდნენ შუა აზიაშიც, პამირზე მოსახლე ვერშიტელების ენა იაფეტური არის მარტის გამოკვლევით. წინეთ მარტი იაფეტურ ენას უპირისპირებდა ინდო-ევროპიულს ანუ არიულს და სემიურს. ბოლოს უარყო არსებობა ასეთი ჯგუფებისა, ასეთი დაყოფა ენებისა. ყველა ენები მარტის აზრით წარმომდგარია შემოქმედებითი შრომით კაცობრიობისა, ერთი შემოქმედებითი პროცესის ნაყოფია. ამგვარად იაფეტური თეორია ეწლა იპყრობს თავის შორის ყველა დედამიწის ენებს. ის რითაც ერთი ჯგუფი განირჩევა მეორესაგან, ინდო-ევროპიული თუ სემიური იაფეტურისაგან, არის შედეგი სხვა და სხვა დროის განვითარების საფესურისა. ინდოევროპიული ენები ტრანსფორმაცია არის. ესე იგი გადაქმნილია იაფეტური ენებისაგან. ეს ენები კი არ არის ენები რომელიმე განცალკევებული რასისა, ანუ ხალხისა. მოკლედ რომ ვთქვათ, იაფეტური ენა ისტორიის წინადროის ენაა, ინდოევროპიული ისტორიული დროის. ბასკური ენა, რომელიც ასე მკვიდრად ენათესავება კავკასიურ ენებს, ნამეტნავად აფხაზურს, მესხურს და სომხურს, ერთად ერთი ისტორიული წინადროის ენაა მთელს ევროპაში.

ენის ევოლიუცია მარტის თეორიით ასეთი იყო: ჯერ «ხელის ენა» იყო, ესე იგი ხელის ქნევით, ხელით

აკადემიკოსი ნიკო მარტი (1864—1934)

(ნიკო მარტის სამეცნიეროდ მუშაობა და ღვაწლი)

ნ. მარტი იყო ენციკლოპედისტი, მრავალი დარგი მეცნიერებისა შეადგენდა საგანს მისი შესწავლისა და ყოველ დარგში იჩენდა ტალანტს და ნიჭს, მაგრამ უადრესად პირველ ყოვლისა ის იყო ლინგვისტი, ენათა მეცნიერი, გიმნაზიაშივე მან მიზნათ დაისახა ქართული ენის შესწავლა და გამოკვლევა და ამას შესწირა მთელი მისი სიცოცხლე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა დარგში მისი მუშაობა მასალა იყო თავი პრობლემისა, ლინგვისტურ მუშაობისა, ანუ უკეთ ვსთქვათ მისი იაფეტური თეორიისა. როცა ნ. მარტი წინააღმდეგ თავის პირვანდელი აზრისა, რომ ქართული ენა სემიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის დაარწმუნდა. რომ ქართულ ენას თუმცა ნათესაობა აქვს სემიურ ენებთან, მაგრამ ის თავის

გამოსახული ნიშნებით, ყესტებით აგებიებდნენ ერთი მეორეს რაც უნდოდათ, როგორც ესლაც ზოგიერთი ტყიური ხალხი ჩადის, და შემდეგ შრომის პროცესში შეიქმნა თანდათანობით ბგერათა ენა. მარბრის აზრით არ არსებობს დედამიწაზე ენა, რომელიც შერეული არ იყოს. ეს შერევა ანვითარებს ენას.


ამრიგათ ქართული ენის და მისი მონათესავე ენების შესწავლამ მარბრს წამოაყენებია იაფეტური თეორია, რომელიც მის ხელში და კვლევა ძიებაში თანდათან განვითარდა, გაფართოვდა, მთელ დედამიწის ენებს მოედვა და მიიღო უნივერსალური ხასიათი. ამ თეორიამ მარბრს სახელი მოუხვეჭა, მაგრამ მტერიც ბევრი შესქინა, ევროპის მეცნიერები იცნობენ მარბრს მხოლოდ როგორც იაფეტური თეორიის ავტორს და უმეტესი ნაწილი მათგანი სრულიად არ იზიარებს ამ თეორიას, მის მეთოდს და მიდგომას განვისადმი. სხვა აუარებელ შრომებს მარბრისას, რაც ჩვენთვის პირველ ხარისხშია, სრულიად არ იცნობენ. ერთად ერთი მეცნიერი ევროპაში, რომელიც ყველა მარბრის შრომებს კარგად იცნობს და ზოგიერთი მათგანი ლათინურადაც გადათარგმნა, არის ბოლანდისტი პოლ პეტერსი, ჯეროვანად მცოდნე ქართულის ენისა. მანამ იაფეტური თეორია მარტო კავკასიურ ენებს ეხებოდა, მარბრის მოწაფენი იზიარებდნენ ამ თეორიას, როდესაც ეს თეორია გადავიდა სხვა ხალხებზე და გაფართოვდა, უმეტესი მათგანი არ ვაპყვავ ასე შორს მარბრს. მათი აზრით მარბრმა უფსკრულში შეტოვა, საიდანაც გზის გამოგნება შეუძლებელია. ეს მათ, რა თქმა უნდა, არ უშლის, რომ მარბრს დიდის პატივით ეპყრობოდნენ, მის ტალანტს, მის კოლოსალურ დამსახურებას და დიდ მეცნიერებას არ სცნობდნენ, ან უმადური იყვნენ. მაგრამ მარბრი ვერ ურიგდება ამას და ეს გასაგებიც არის. ევროპა არ სცნობს მას და შინაურებიც არ ეთანხმებიან ამ საქითში. ამას დაერთო, რევოლიუციური, რუსეთი აიშალა, რღვევა დაიწყო, ქართველმა და სომეხმა მისმა შევირდებმა და თანამშრომლებმა მიატოვეს პეტროგრადი, ჩამოვიდნენ კავკასიაში. ქართველებმა ტფილისში გახსნეს უნივერსიტეტი, სომეხებმა ერევანში, მარბრი მარტოდ დარჩა, პეტერბურგის სკოლა კავკასიის მცოდნეობისა თითქმის დაიშალა. მარბრი პირველად წინააღმდეგია ახალი უნივერსიტეტის გახსნისა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ტფილისის ქართული უნივერსიტეტი გამტკიცდა და ბოლშევიკებმა იცნეს თავისუფალი საქართველო, მარბრი გრძობიერ წერილს სწერს ტფილისის უნივერსიტეტის რექტორს, მის ყოფილ შევირდს ივ. ჯავახიშვილს, და მზათაა გადმოვიდეს ტფილისის უნივერსიტეტში. მარბრს ვირჩევთ ერთხმად პროფესორად, ის იწერება, ესლა საზღვარ-გარედ მივდივარ და იქიდან პირდაპირ ტფილისში დავბრუნდებიო, მაგრამ ამ დროს ხდება ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობა და მარბრი ბრუნდება ისევ პეტროგრადში. რევოლიუციის დროს ის იცავს პეტროგრადის აკადემიას და სამეცნიერო დაწესებულებებს განაღო ურებისაგან, განიცდის, როგორც სხვებიც,

შიმშილს*), ყოველგვარ შეურაცყოფას, ღამ-ღამე ხშირად ესხმებიან თავზე და ჩხრეკენ კონტრ-რევოლიუციონური დოკუმენტების აღმოსაჩენათ, რა თქმა უნდა, ის უალრესად ნერვიულობს, შფოთავს, ვერ მუშაობს დამშვიდებით. ერთხელ ჩხრეკის დროს აღლევებული გავარდება გარეთ, დარბის გიყვიით ეზოში, როცა ჩხრეკა გათავდა, მიიწვიეს შესულიყო ბინაში, ის აღარ შედის, შფოთავს, ძლივს აშოშმა-ნებენ. შელავათს პოვლობს საზღვარ-გარეთ მივლინებაში სამეცნიერო მიზნით, პარბში ხსნის ქართული ენის კურსებს, ამზადებს ფრანგის მღვდელს ბრიერს, რომელიც ამ კურსებს განაგრძობს მის შემდეგ. ლენინგრადში დაბრუნებისას სულ უნუგეშო მდგომარეობა დახვდა. დამზადებული შრომები იაფეტური თეორიისა, რომელნიც უნდა დაბეჭდილიყო წლის განმავლობაში, დაუბეჭდავი იყო და თანაც გამოუცხადეს, რომ ისინი რიგში დარჩებიან სხვა დასაბეჭდ წიგნებთან ერთად და როცა რიგი მოუწევთ, მაშინ დაიწყებენ ბეჭდვას.

ამას გარდა ქართული ხელნაწერები, რომელნიც ქვაკუთხედს შეადგენდნენ იაფეტოლოგიისათვის, ტფილისში დაუბრუნებია ხელისუფლებას. ყველა ეს ამბავი სასოწარკვეთილებაში ავდებს მარბრს და ის პირდაპირ ამბობს, ეს არის ნიშანი ჩემი დასასრულისა, გაქარწყლება მთელი ჩემი მუშაობისაო**). ხუთი წლის განმავლობაში მარბრი არც ეჩხუბება აშკარად და არც ემხრობა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ შემდეგ 1923 წლიდან თანდათან ეგუება ბოლშევიკურ რეჟიმს, როდესაც ის პირველ სრულ საკავშირო კრებაზე ამოირჩიეს ცენტრალური საბჭოს მეცნიერების მუშაკთა თავმჯდომარედ, ხელმეორედ არჩეულ იქმნა მეორე და მესამე კრებაზედაც და დაბოლოს 1930 წელს ეწერება კომუნისტურ პარტიაში და აშკარათ ემხრობა დიალექტურ-მატერიალისტ. მეთოდს მარქს-ენგელსისას. ეს მარქსისტულ-დიალექტური ლინგვისტიკა ესლა მის ხელში სულ პოლემიკური ა ვერეთ წოდებულ ევროპაიელ «ბურჟუაზულ» ლინგვისტების მიმართ და აგრეთვე ყველა საბჭოს ლინგვისტების წინააღმდეგ, რომელნიც იაფეტურ თეორიას არ იზიარებენ. იაფეტური თეორია გამოცხადებულია სავალდებულოდ საბჭოთა კავშირში. მარბრს ესლა საშვალეობა ეძლევა ფართოდ გაშალოს მოქმედება იაფეტური თეორიის მიხედვით კვლევა-ძიებისა და ყველა საბჭოში შემავალ ერთა ენების გამოკვლევისა, მას ესლა მეტი მიმდევარი ჰყავს, ის აარსებს ინსტიტუტებს, სკოლებს, კურსებს, წრეებს და სხვადასხვა დაწესებულებებს იაფეტური ენების შესასწავლად, მოგზაურობს სხვა და სხვა მხარეებში საბჭოს კავშირისა ლინგვისტიური მიზნით, აუარებელი წიგნები და სტატიები გამოდის სულ მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით, ენერგია მისი არა თუ შესუსტდა, არამედ გარკვედა, მაგრამ ბოლოს სხეული აღარ უძლებს და ის

*) ისე გავხვდი როგორც ფარგაო, მწერდა ერთ წერილში.

**) პოეტაპამ რაზვიტია იაფეტიჩესკოი ტეორიი, მოსკვა-ლენინგრად, 1926 წ. გვ. 186.



ხდება მსხვერპლი მეცნიერებისა, მსხვერპლი ტიტანურის შრომისა. პირველი დამბლა მას მოსდის რეფერატის კითხვის დროს მატერიალურ კულტურის ისტორიის აკადემიაში, რომლის თავმჯდომარე თვით იყო, შემდეგ მოიკეთებს და კვლავ იწყებს მუშაობას, მაგრამ ჯანს აღარ აქვს. დამბლა შეორდება, და როდესაც ატყობს, რომ აღარ შეუძლია ჩვეულებრივ გრიგალივით მუშაობა, აღარ უნდა სიცოცხლე, უარს ამბობს საზრდოს მიღებაზე და წუთი-სოფელს ეცლება.

სულ სხვა საკითხია, რამდენათ შეგნებულად მიემხრო მარტი ბოლშევიკურ იდეოლოგიას, ბოლოს და ბოლოს ეს მისი რწმენა იყო, თუ ფარისევლობა, მიიღო ის პირადი ინტერესებით, რაც არ სწამდა, თუ მართლა ირწმუნა, და რაკი ირწმუნა თავისებურად გატაცებით მიემხრო? ვინც მარტს სიყრმიდან არ იცნობს, ის პირველ დასკვნას მიიღებს და ამის საბუთს თვით მარტი თავის მოქმედებით და ნაწერებით მრავალს აძლევს, მაგრამ ვინც მას ახლოს იცნობს, მისი მერყეობა მიმართულების და საგნის არჩევანში არაერთხელ უნახავს და მისი ექსცენტრიული ხასიათი განუცდია, ის მას ფარისევლობას ვერ შესწამებს. ის ზოგჯერ სცდება, მაგრამ სცდება შეგნებულად, გატაცებით და არ ფარისევლობს. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. ყველა მენშევიკების მოწმობით, მარტი პირველ რევოლუციის დროს 1905 წელს თავის წერილებში ბოლშევიკებისკენ იხრებოდა.

მარტი დიდი მეცნიერია, მაგრამ მრავალი შეცდომებიც აქვს, და ამ შეცდომებს უფრო ხშირად თვითონ აღიარებს. იშვიათად თუ მოიპოვება სხვა მეცნიერი, რომელსაც ასე ხშირად უარეყოს მის მიერ წარმოთქმული აზრები. ლინგვისტიკაში ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, ლინგვისტიკა ზღვა არის. დღევანდელი მდგომარეობა მასალისა და კვლევაძიებისა ერთ დასკვნას იძლევა, ხოლო ხვალინდელი ახალი აღმოჩენანი სრულიად უარპყოფენ ამ დასკვნას. მაგალითად მარტი ამბობს; ვინც ახლად იწყებს იაფეტური თეორიის შესწავლას, მას არ ვურჩევ ჩახედოს ჩემს ამ საგნის შესახებ ნაწერებში, რომელნიც დამიწერია სტატიის გამოსვლამდის (მესამე ეთნიური ელემენტი ხმელთა შუა ზღვის კულტურის შექმნაში) და ეს უკანასკნელი სტატიაც იმ განსხვავებით უნდა მიიღოს, რაც მის გერმანულ თარგმნის წინასიტყვაობაში სწერია^{*)}. სტატია რუსულად დაიბეჭდა 1920 წელს, ხოლო გერმანულად 1923 წელს. მანამდე აუარებელი სტატიები ჰქონდა მარტს იაფეტური თეორიის გამო. ამ ცვალებადობის შესახებ მარტი ამბობს: რომაელები ამბობდნენ დღე დღის მასწავლებელია (dies diem docet), იაფეტურ თეორიაში კი საათი საათის მასწავლებელია (hora horam docet). ზოგჯერ მარტის გამოცემებში წინასიტყვაობაში განცხადებულია: ის რაც წიგნში სწერია, მანამ იბეჭდებოდა, დაძველდაო. ასე ცვალებადო-

ბით მიდიდა იაფეტური თეორიის განვითარება უკანასკნელ დრომდე.

მარტი აქვს ერთი საყურადღებო სტატია: «წარმართი საქართველოს ღმერთები», რომელიც ყველა მკვლევარმა მოიწონა და მიიღო. მაგრამ მან ბოლოს უარყო. იქ გატარებული აზრი ირანულიდან სესხება ამ ღმერთებისა მართალი არ არისო. სახელები ღმერთებისა იაფეტურიაო. გეოგრაფიულ სახელს «ომხეთი» ეხლანდელი ბორჩალოს მახრა, მარტი ხსნიდა წინეთ, როგორც «სონ-მესხი», ესე იგი სვან-მესხები და ამტკიცებდა სვანები და მესხები წინეთ აქ ერთად ცხოვრობდნენ და შემდეგ გაიყარნო. მერმე უარპყო ეს აზრი და სულ სხვა განმარტება წამოაყენა. უფრო საკვირელი იყო კიდევ, რომ მან მიიღო ერთ დროს ს. კაკაბაძის მიერ ნაქარვევად გამოთქმული აზრი, რომ რუსთაველი მაჰმადიანი იყოო, და ეს მას შემდეგ, რაც მან მოგვცა ისეთი საყურადღებო წიგნი, როგორიც არის ვეფხის ტყაოსანის შესავალი და ბოლოსიტყვაობის განმარტება. რასაკვირელია, ბოლოს მან ეს აზრი უარყო.

მარტი ერთობ ლინგვისტი იყო და ლინგვისტურ თავისებურ განმარტებას ზოგჯერ სწირავდა ისტორიულ ფაქტებს. ასეთი მაგალითად მისი მტკიცება, რომ «იბერია» დასავლეთი საქართველო იყო და შემდეგ ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოზე გადაიტანესო, მაშინ როდესაც ყველა კლასიკური მწერლები და განსაკუთრებით სტრაბონი იბერიად აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს წინეთ კოლხიდა ჰქვიოდა, შემდეგ ლაჩიკა, მეზვიდე საუკუნიდან მეთემდის აფხაზეთი და ბოლოს იბერეთი. უკანასკნელ სახელს იბერიასთან კავშირი არა აქვს, ვინაიდან წარმოსდგება სიტყვიდან «იმერ», «ომიერ». მიუღებელი იყო აგრეთვე მოსაზრება, ვითომც სახარება პირველად სვანურ ენაზედ ყოფილიყო ნათარგმნი და შემდეგ ქართულზე. ასეთი ლაპსუსები აქვს მარტს, მაგრამ ეს არ უშლის მის დიდ მეცნიერებას და დიდ დამსახურებას, ვინაიდან აუარებელი განმარტებანი სიტყვებისა თუ საგნებისა და კვლევაძიებანი ფასდაუღებელი აქვს. მისი ზოგიერთი სიტყვების განმარტება ალტაცებას იწვევდა დიდ სპეციალისტებში. რამოდენიმე სიტყვის განმარტების შესახებ, სხვათა შორის სომხურ «სეპუს» და ქართული «სეფეწული»-ს, უნიჭიერესი მკვლევარი ბოლოტოვი სწერდა ჯერ კიდევ დასაწყისში მარტის მეცნიერული მუშაობისა: ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამის ფასი ლინგვისტიკაში არაფერი დაწერილაო. ბოლოტოვის რომ მეტი ეცოცხლა, რამდენ ასეთ მარგალიტებს იპოვნოდა მარტის სხვა სიტყვების ახსნა-განმარტებაში?

მარტი იყო დიდი მოციქული, დიდი მომხრე მთელი კავკასიის ერების ერთობის და სოლიდარობისა, თუ ერთს მათგანს თავს ესხმოდნენ. ის მის დამცველად გამოდიოდა. მარტის აზრით თუმცა მწიგნობრობა და მწიგნობრული ლიტერატურა მარტო ქართველებს და სომხებს ჰქონდათ, მაგრამ კავკასიის კულტურის შექმნაში ყველა კავკასიის ერებს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, რომ კავკასია ერთ

*) იხ. კლასიფიკაციონნი პერჩენ პეტრინის რატოტ პო იაფეტოლოგიი. ლენინგრად, 1926 წ. გვ. 6-7.



მთლიან გეოგრაფიულს და ეკონომიურს მხარეს შეიცავს, მისი კულტურაც საერთოა და ყველა მის მკვიდრთა ენები იაფეტურია, და რომ ქართლის ცხოვრებაში შენახული დებულება მათ მამათმთავართა ძმობისა უძველესი მწერლობითი ცნობაა მათი ნათესაობისა, რაც ენების გამოკვლევით მტკიცდება. არც ერთს კავკასიის ერს მარრის აზრით არ შეუძლია განცალკევებით ფეხზე დადგეს და განავითაროს თავის სახალხო კულტურა, თუ არ მთელს კავკასიის სფეროში, საფუძველი კავკასიის კულტურისა ერთია, ეს იაფეტური კულტურაა. ვინც ამ მთლიანობას გამოეყოფა, ეს გამოეყოფა დასაწყისია მისი დასასრულისა*).

რაკი კავკასია და მისი ერები ერთია და ყოველთვის გაერთიანებული უნდა იყვეს, ამისთვის საჭიროა მათ ჰქონდესთ ერთი იაფეტური ანბანი და ასეთი ანბანი მან კიდევ შეადგინა და ამ ანბანით დასწერა ქართული ტექსტი სტატიისა «რით ცხოვრობს იაფეტური ენათ მეცნიერება». მთლიან კავკასიას, გარდა ერთი ანბანისა, უნდა ჰქონდეს ერთი კავკასიის საერთაშორისო ენაც. მარრი იკვლევს ყველა კავკასიის ენებისთვის და იმ დასკვნაზე მიდის, რომ ასეთ ენად უნდა იყოს ქართული ენა. აქ სისტემატიურად და მჭერმეტყველოურად ნაჩვენებია უპირატესობა ქართულის ენისა. ქართული ნაციონალური ენა მარრის სიტყვით არის ფრიად მდიდარი, კულტურული, უნივერსალური შეთვისების მხრით და სანახევროდ ეხლაც კავკასიის საერთაშორისო ენაა, ვინაიდან ამ ენაზე ლაპარაკობენ ქართლები, კახელები, მეგრელები, სვანები, აბხაზები, ოსები, მთიელები და საქართველოს სომხებიც. ამასთან ეს ენა არის უადრესად დემოკრატიული, მისაწვდენი უმდაბლესი ხალხის ნაწილისათვის**).

ამრიგად კოლასალური და ფასდაუდებელი დეაწლი ნიკო მარრისა ქართული ენის და კულტურის შესწავლაში, ასეთივეა მისი დეაწლი სომხურის და საერთოდ კავკასიის კულტურის შესწავლაშიც. რაც შეეხება იაფეტურ თეორიას, რომელიც ქართული ენის წიაღიდან წამოაყენა მარრმა და რომელმაც უნივერსალური ხასიათი მიიღო, ეს ისეთი დიდი პრობლემა არის, რომ ამის გადაწყვეტას მთელი საუკუნე და მთელი რიგი მარრის მსგავსად მომზადებული ლინგვისტიკის მუშაობა დასჭირდება. შესწავლილი უნდა იქმნას ყველა დედამიწაზე არსებული ენები და გამოარკვეული მისი დამოკიდებულობა იაფეტურ ენებთან, ესე იგი კავკასიის ენებთან პირველ რიგში. აგრეთვე პრობლემა ენის წარმოშობისა ერთობ რთულია და ეს მართლ ლინგვისტიკის საქმე არ არის. ჩვენთვის უადრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გზადაგზა იაფეტურ თეორიაზე მუშაობაში აუარებელი ქართული და კავკასიური სიტყვები და ფორმები ჯეროვანად განმარტებული და ახსნილია. მიმდევრები იაფეტურ თეორიისა თანდათან

ჩნდებიან ევროპაშიც და იქნება უფრო მალე გამართლდეს მარრის სიტყვები, რომელიც მომწერა, «ჩემს თვისებს და თეორიას ჩემი სიკვდილის 40 წლის შემდეგ მიიღებენა». მიიღებენ თუ არ მიიღებენ საერთოდ იაფეტურ თეორიას, ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ ნ. მარრი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო ლინგვისტიკის პირველ რიგში. ბურჯათ საქართველოს და მთელი კავკასიის მცოდნეობისა და მოცემულად კავკასიის ტომთა ერთობისა და სოლიდარობისა.

ალარა გვყავს ნიკო მარრი, ბუმბერაზი მეცნიერებისა, მაგრამ ჩვენდა საუბრეოდ მას დარჩა მრავალრიცხოვანი შევირდები საქართველოში, სომხეთში, რუსეთში, ევროპაში და ამერიკაში, რომელთაც მან გადასცა უნარი დაუღალავი მუშაობისა, თავდადება და სიყვარული მეცნიერებისა, კრიტიკული მეთოდი კვლევაშიებისა, და რომელნიც ღირსეულად და ფრიად ნაყოფიერად ჩვენს თვალწინ განაგრძობენ თავის მოძღვრის მეცნიერულ მუშაობას. საუკუნოდ დარჩება დეაწლი და დამსახურება ნიკო მარრისა საზოგადო მემკვიდრეობაში და კერძოდ კავკასიის მცოდნეობაში და საუკუნოდ იქნება ხსენებაც მისი.

ექ. თაყაიშვილი.

ზიაროთ ყველამ ერთად

უნდა მივაქციოთ ყურადღება ემიგრანტულ აზროვნების ერთს მეტად მავნე მოვლენას. განვიხილოთ იგი მხოლოდ განსაზღვრულ ჩარჩოებში, თუმცა არის ტიპური ყველა—ჩვენთვის და სახელად აქეს—უთანხმოება. ვინაიდან ეს უთანხმოება საერთო ხასიათისაა, ამიტომ ყველასათვის საინტერესოა.

დამოუკიდებლობის დროის სამხედრო საქმის საკითხებს რომ არკვევენ, ზოგიერთები ძლიერ ხაზს უსვამენ იმ განსხვავებებს, რომელიც ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის იყო. არიან ისეთებიც, რომლებიც კიდევ უფრო შორს მიდიან და განსხვავებას ხედავენ თვით ცალკე ერთეულებს შორისაც. მაგრამ მათზე არ ვილაპარაკებთ, შეეხერხებით მხოლოდ ჩვენი მხედრობის—ორი დიდი ნაწილის—ჯარის და გვარდიის—საკითხზე.

ხაზგასმით აღნიშვნა მათ შორის არსებულ განსხვავებისა თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ბრალდებასთან, რომ გვარდია გახდა მიზეზი ჩვენი დამარცხება-გაუბედურებისა. არ არის ეს სწორი. რომ უკედ გავიგოთ. რა იყო გვარდია და რა როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, დაუკვირდეთ იმ პირობებს, რომლებშიაც ის წარმოიშვა და როგორი იყო მისი მოქმედება.

იმ დროის განსაკუთრებული პირობები მოითხოვდნენ განსაკუთრებული ძალის შექმნას. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, ვხედავთ ამას არამც თუ ჩვენში, არამედ იტალიაში, გერმანიაში. ფინეთში და მრავალგან, სადაც გამოდის ეს ძალა პირობებთან შეფარდებული. და თუ სხვაგან განსაკუთრებული ძალის შექმნა მიგვაჩინა ბუნებრივად, რატომ ასევე

*) ბატუმ, არდავან, კარს. პეტროგრად, 1922 წ. გვ. 56-57.
**) კ. იუზჩენიუ სოვრემიონავო გრუზინსკავო იაჩიკა. პეტროგრად, 1922 წ.



ბუნებრივად არ უნდა მივიჩნიოთ ჩვენშიც მისი არსებობა?

ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენლები განსაკუთრებულად პირობები მოითხოვდნენ განსაკუთრებულ ძალას, რომელზედაც უნდა დაყრდნობილიყო ნორჩი სახელმწიფო.

საქართველოზე ჩამოწვა შავი ღრუბლები. 1917 წ. რევოლუციის შემდეგ კავკასიის ფრონტი სრულიად მოიხსნა, რუსის ჯარის ადვირ-შეგებული ურდოები ემუქრებოდნენ საქართველოს მიწა-წყლის განადგურება-გავერანებას. მაშინ წარმოიშვა სახალხო გვარდია, როგორც ერთად ერთი საიმედო ძალა, რომელსაც უნდა დაცვა ქვეყანა. ის დრო იყო, როცა საქართველოს არ ჰყავდა საკუთარი ჯარი, ხოლო რუსეთის ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკური აგიტაციით დაბრმავებული ჯარისკაცები ვერაფერსაიმედო ძალას წარმოადგენდნენ. ჯარის ასეთს პირობებში შექმნა ძლიერ ძნელი იყო, ყოველ შემთხვევაში მოითხოვდა დროს. სპეციფიური პირობები გვაძულვდნენ ისეთ მოწყობას, რომელსაც სხვა თვისებები უნდა ჰქონოდა, ვიდრე რეგულიარულ ჯარს. ყოველივე ეს სავესებით ამართლებდა გვარდიის შექმნის საჭიროებას, ხოლო შემდეგმა დაამტკიცა, რომ ეს ძალა იყო შესაფერისი ჩვენი პირობების.

გვარდია უნდა ყოფილიყო ჯართან ერთად. დროს მიხედვით, ჩვენი ცხოვრების ევოლუციასთან ერთად მასშიც უნდა მომხდარიყო ერთგვარი ევოლუცია და შეფარდება ცხოვრების პირობებთან...

დავა ჯარის და გვარდიის ღირსება-ნაკლულევენებაზე დღეს სრულიად საჭირო არ არის და ზარალის მეტი არაფრის მოტანა შეუძლია.

ვინც გვარდიაში ხედავს მხოლოდ ნაკლს, შეიძლება მოვავგონოთ ბრწყინვალე მოქმედებანი ზოგი მისი ერთეულისა. მეორეს მხრივ არა ყველა ერთეულები ჯარისა იდგნენ თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

ემიგრანტული ცხოვრება პარადოქსებით სავსეა. დღეს როდესაც იმარჯვებს კავკასიის კონფედერაციის ლოზუნგი, გაისმის აგრეთვე ანტაგონიზმის ხმები პროვინციებს შორის.

ძველად ქართველების იდეალი იყო გაერთიანებული საქართველო, დღეს რას ეს გაერთიანება ფაქტია, არის ხალხი, რომელიც მას ძირს უთხრის. სამხედრო დარგში გამოიხატება ეს იმაში, რომ იმართება დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორი სამხედრო ღირსებები აქვს საქართველოს სხვადასხვა პროვინციების მცხოვრებთ. ეს დისკუსიები ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ხასიათის და ფინიკური აგებულების თვისებანი სხვადასხვა პროვინციების მცხოვრებთა მხედველობაშია მისაღები ჯარის კაცთა გამწვევ და გამანაწილებელ კომისიებისათვის, რომელნიც ანაწილებენ ჯარში გაწვეულთ სხვადასხვა სამხედრო დარგში. ყოველ შემთხვევაში ანტაგონიზმის დასათესად ეს საბუთი არ გამოდგება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დასავლეთ საქართველოდან ჯარის კაცები იჩენდნენ დიდ სამხედრო ღირსებას—ინტელიგენტობას, მამულიშვილობას, დისციპლინას გაგონების უნარს და ხელ-

მძღვანელობის დამორჩილებას, ეს ღირსებანი სავსებით ფარავნ შედარებით ნაკლებს გამოვლენას ომის მძიმე პირობებში.

ეს ჯარის კაცები ყოველ შემთხვევაში არ იყვნენ უარესნი აღმოსავლეთ საქართველოს ჯარისკაცებზე.

უკვე განვაცხადეთ, რომ გვსურს განვიხილოთ ზოგი საკითხები ვიწრო ფარგლებში. ამ საკითხებმა ერთგვარი ინტერესი უნდა გამოიწვიოს ყველაში.

ჩვენი მიზანს სრულებით არ შეადგენდა გვარდიის დაცვა. სხვა მისწრაფება გვაძოვრებდა, უფრო დიდი და მაღალი ვიდრე გვარდია და ჯარი—სამშობლო, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს ჩვენგან, რათა ამ მძიმე საშინელ ხანაში ვიართოთ ერთად ხელი ხელს ჩაკიდებულად და არავითარი შუღლი და სიძულვილი არ გვაშორებდეს ერთმანეთს. თუ დღეს ჩვენ გვაშორებს თეორეტიული დავა და უთანხმოება, დეე მივსცეთ ყოველივე ეს დავიწყებას მომავლის გამო.

დ. შ.

ვარშავა.


უცხოეთის მიმოხილვა

რღვევის პრლგვისი.

მსოფლიო იმყოფება რღვევის პროცესში, ძველი საერთაშორისო კავშირები შემეშებულია ან სრულიად დაწყვეტილი, ახლების ძებნაში არიან ან უკვე მოძებნილია, ყენვეის სინდარიონიც ხუნდება, სანამ გაიფურჩქნებოდა.

და ეს ყველაზე უკეთ დაამტკიცა ეთიოპია-იტალიის კონფლიქტის უკანასკნელმა სურათმა. უნდა ითქვას, დღესაც ისევე, როგორც გუშინ, ძალთა განწყობილება და არა კეთილი სურვილები სწყვეტს ბოლოს და ბოლოს ერთა და სახელმწიფოთა ბედს. ყველასათვის მოულოდნელად, იტალიის ჯარმა ექვს თვეში გადასჭრა ის ამოცანა, რომლისათვის სამხედრო სპიციალისტები, თუ ექვს არა, სამ წელს აუცილებელ ვადად აღიარებდნენ. როგორ მოხდა ეს სასწაული, საიდუმლოებას წარმოადგენს, მხოლოდ ეთიოპიის დედოფალი თავის რადიო-სიტყვაში, რომელიც განზრახ არ გაავრცენს ვეროპიელ მსმენელთ სელოფურად გამოწვეული ხმაურებით, მაგრამ მაინც შესძლო გამოეყვეყნებინა ლონდონის «ტაიმს» ს, აცხადებს: იტალიის სარდლობამ ავიონებიდან დაგვიშინა მომწამელავი გაზები, რითაც მისმა ჯარებმა გარღვიეს ჩვენი ფრონტი და ეხლა ადის-აბებას უნავლოდენდიანო. დედოფალი თვალში ცრემლით მიმართავს საფრანგეთს, ინგლისს, მსოფლიოს და შველას სთხოვს, მაგრამ მათი წარმომადგენელნი თავჩაქინდრულად ისმენენ ყენვეაში იტალიის წარმომადგენელის ალოზის დამციწავ სიტყვას. დიას, გამარჯვებული ყოველთვის მართალია, როგორც იტყვიან.

თქვენ იცით, ვინაა დამარცხებული—ინგლისი, და, მისი საგარეო მინისტრი იდენი დღეს უთუოთ ნატრობს ლავალ-პორის სახავო კომპრომისს, რო-



მლისათვის ინგლისის საზოგადო აზრმა განდევნა

პორი და მის სავარძელში ეგ ყველაზე ჯიეილი მინი-სტრი ჩასვა. მაგრამ ნუ ფიქრობთ, რომ ცბიერი აღ-ბიონი ასე ადვილად დაყრის იარაღს, ის მხოლოდ ფაქტს უწევს ანგარიშს, იხვევს, როცა საჭიროა, უტევს, როცა მარჯვე წუთი უდგება, მისის სესიაზე ის ალბად გამოაჩენს თავის კლანჭებს...

მანამდის კი რღვევის პროცესი ძალაშია. ასე წარმოდგინეთ, პატარა ავსტრიაშეც გამოიჩინა გა-ბედულობა და ერთის დაკვრით გააუქმა სან ყერმე-ნის კარნახი, რომელიც მას უკრძალავდა ჯარის გა-ძლიერებას: შემოიღო საყოფილო ბეგარა და ციბ-ცხელიებით შეუდგა სამხედრო სამუხადის. მცირე ან-ტანტამ სასტიკი პროტესტით მიმართა ვენას და ეს გაფრთხილება ნამდვილად ბუღა-პეშტისადმი იყო მიმართული, რომელიც, თავის მხრით, ემზადება ტრიანონის კარნახის გადასაბიჯებლად. ყენევაში კი კრინტიც არ დაუძრავს არავის. აბა შეადარეთ, როგორ ალიაქოთს ასტეხდენ სხვა დროს ხელშეკრუ-ლობათა ცალმხრივ დარღვევისთვის!

ანკარაშეც სწორეთ ეს მოხდენილი წუთი შეურ-ჩია: ახლად შექმნილი პირობები მსოფლიოში და, უწინარეს ყოვლისა, ხმელთა შუა ზღვაზე—ამბობს რუშთი არასი თავის ნოტაში ლონანის კონვენციის ხელის მომწერთა მიმართ—საშიშარ მდგომარეობა-ში აგდებს დარდანელს, მარმარას ზღვას და ბრს-ფორს, ჩვენთვის აუცილებელია მათი გამაგრება და ამისათვის გთხოვთ დაუყოვნებლივ შეეუდგეთ კონვენციის გადასინჯვასო. როგორ შეხედენ ამ მო-თხოვნას ხელის მომწერნი? თითქმის სიხარულით! ინგლისში, რომელიც ავტორია ლონანის კონვენცი-ის, განაცხადეს: შეხეთ, როგორი ლოიალურია ანკა-რას მთავრობა, მან უკუაგდო საერთაშორისო აქტე-ბის ცალმხრივი დარღვევა, სვამს მხოლოდ მათი კა-ნონიერი გზით გადასინჯვის კითხვასო. და ბოლდ-ვინის მთავრობამ თავაზიანად მიუგო, ჩვენ არ ვიქ-ნებით წინამდევნი, ჯერ მხოლოდ დომინიონების აზრი უნდა მოვისმინოთო. სხვა ხელის მომწერნი: საბერძნეთი, რუმინია თანხმობით უპასუხებენ, მოს-კოვი მიულოცავს კიდევ ამ ნაბიჯს; სდუმს იტალია, წინამდევნია და ამში უკვე ხედავთ ალბიონის პირ-ველ ისარს... სდუმს ბულგარიაც და ეს იმიტომ, რომ ამ გადასინჯვასთან ერთად მას სურს დენოს დაპირება გაუნადღონ და ეგეის ზღვაში გასავალი მისცენ.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, ვიმედოვნებთ— ჩვენი მეზობლებისათვისაც. უადრესი მნიშვნელობა აქვს სრუტეების კითხვას, კონვენციაში ხომ საქარ-თველოსთვისაც იყო ადგილი დატოვებული და ეს კი მოასწავებდა თავისუფალ გზას მთელი კავკასიის-თვის ევროპისკენ, ოკეანებისკენ. ჩვენი მოგვიხდება არა ერთხელ ამაზე დაბრუნება, ესლა კი უნდა აღვ-ნიშნოთ, რომ მოსკოვის პოზიცია ცხადყოფს ჩვენს პოზიციას.

ამ მიმოხილვის წაკითხვასთან თქვენ უკვე გეცო-დინებათ ინგლისის «კითხვები» გერმანიისადმი და, შეიძლება, უკანასკნელის პასუხიც. აი, რა გადას-ტრის ევროპის, მსოფლიოს ბედს! გაგრძელდება თუ

შეაჩერებენ რღვევის პროცესს—აი რა კითხვა ძვეს სასწორზედ. თუ გერმანია და საფრანგეთი ვერ შე-თანხმდენ, პირველი გადადების იაპონიას, ხოლო მე-ორემ უნდა აიჩიოს ინგლისი ან იტალია—ორივე, საეჭვოა, შეირჩინოს. იტალიამ შეადგინა ახალი «სამეული»: თვითონ, ავსტრია და უნგრეთი და თვა-ლი გერმანიისკენ უჭირავს. რუსეთისთვის რყევა გამოირიცხულია—ან ესლა, ან არასოდეს: თვითონ, საფრანგეთი, ინგლისი, მცირე ანტანტა, ბალკანეთის ბლოკი, რომელშიც ბულგარია არ შედის და ადგი-ლსაც ვერ პოულობს ჯერ...

ამით სულაც არაა ჩვენი ჭადრაკი დასრულებუ-ლი, ფიგურები გადი-გადმოდიან, ყოველ წუთში მო-სალოდნელია სულ სხვა კომპინაციები, მაგრამ, ნუ შევკრთებით, ამის კითხვა ჯერ კიდევ არ ისმის ევ-როპაში, იგი თითქო ჯერ შორეულ აღმოსავლეთში უნდა გადაწყდეს.

ვერსალის ჩიხიდან რომ გადმოხეთქს აბობოქრე-ბული ტალღები, ეს უკვე ცხადია ბრმათათვისაც.



რედაქცია ამით აუწყებს ყველას,
რემ მძმაგალ მაისის თვიდან

„დამოუკიდებელი საქართველო“

უფა ხოლ არავის გაეგზავნება.



შეკილი ახეკიკილან

როცა საბჭოთა სამეფოში «სტახონოვიჩინა»-ს ხანა დაიწყო და სტალინი თავისი ძლიერი აპარ-ტით დააჯდა მუშებს კისერზე, რომ ცოტაოდენად მაინც ამოეფსო გაკოტრებული კასსა,—აქაურმა «ბუ-რეუანიულმა» გაზეთებმა ანიშნეს, რომ სტალინის ახალი სრიკები, მუშებს ძალღონის უტილიზაცია, არამც თუ სოციალისტურია, არამედ ძველი კაპი-ტალისტურია და ძალიან უხეშიცო.

იყო დრო, როცა სტალინი და მისი თანაშემწენი ძველი რეჟიმის ოპოზიციაში იყვნენ და ამ მეთოდის წინამდევ იბრძოდენ, რომელსაც ახლა აღმერთებე-ნო: ნაჭრობით მუშაობას და ვიწრო სპეციალიზა-ციას—საათობით, და ცვალებადს სამუშაოს უპირ-დაპირებდენო...

დღეს სტალინი კესს აბრუნებს და ამბობს:
«სტახონოვის მოძრაობა არყვეს ძველი ტექნი-კის კონცეპციას და მოითხოვს დამყარებას ახალის, უფრო განვითარებული ტექნიკის წარმოების ნორ-მასო»...

ეს არის მხოლოდ, როგორც ამერიკელები იტ-ყვიან, დიდი სიტყვები და თანაც ძალიან ბუნდოვა-ნი, მუშების მოსატყუებლად. კაპიტალისტურ ამე-რიკაში ამაჰ ჰქვია «მუშების დაჩქარება», «გაქუჟ-ვლა»:



ალექსი სტახონოვის «გამოგონება» მხოლოდ რუსეთისთვის იყო ახალი. ეს არის ვიწრო სპეციალიზაცია, ან შრომის დანაწილება. ა. სტახონოვი დონბასის მალაროში წინად ელექტრონის ბურლით ქვანახშირს ამტვრევდა, დამტვრეულს თვითონ არჩევდა და დანიშნულ ალაგზე მიეზიდებოდა. ამის ნაცვლად მისი «ახალი მეთოდით» იგი მხოლოდ ბურლით მუშაობს და მეორე მუშა დამტვრეულ ქვანახშირს მიეზიდება.

თუ სამუშაო ადვილი და სათუთია, ასეთი შრომის დანაწილება მეტს ნაყოფს იძლევა, თუმცა ერთგვარი, მონოტონური სამუშაო ადამიანის ნერვებზე კუდად მოქმედობს. ხოლო თუ სამუშაო ძნელია, მაგალითად ელექტრონის ბურლის ხმარება, მაშინ უცვლელი სამუშაო ჯანმთელობის გამაფუჭებელია.

მაგრამ ეს «მუშათა დიქტატორს» როდი აწუხებს. პირიქით—მოტყუების აპარატი ფეხზე დგება. სტახონოვი სტალინთან მიყავთ, მას გმირად აცხადებენ, მის სურათებს სინემაში აჩვენებენ, დასასვენებლად კურორტზე აგზავნიან და სხვა...

ყველა მალაროვში სტახონოვის «მეთოდი» შემომოაქვთ. მაგრამ ეს საყოფი არ არის. აქიდან გადაადის» ყველა დარგებზე და ყოველნაირ სამუშაოზე. გემის დატვირთვა სტახონოვურად; მიწის მოხვნა და გათხნა სტახონოვურად; ძროხის მოწველა, ბამბის მოკრიფვა... სტახონოვურად.

საბოლოო ინციდენტს იწვევდა «ნიუორკის ტაიმისი» (22 მარტის) კორესპონდენტი ჰაროლდი დენნი მოსკოვიდან. თურმე სტახონოვიზმის წიპურტი არამც თუ საბჭოების ქვეშევრდომებს, არამედ უცხოელებსაც მოხვდებოდა. დენნი იტყობინება: «ტელეფონის რეკვა კარგა ხანს გვაწუხებდა: ხან შუალამე, ხან დილით ადრე გვალვიძებდა, უპასუხებდით,— ხმას არავინ იღებდა, თუმცა ხშირად ტელეფონში სუნთქვა გვესმოდა. უცხოელების უმეტესობა ვფიქრობდით, რომ საიდუმლო აგენტები კანტროლს გვიკეთებენ, თუ ჩვენს ბინაზე ვართ». ო... მაგრამ კორესპონდენტს ეს არ აკვირებს, ის განაგრძობს: «ნამდვილი მიზეზი დღეს გამოირკვა—თურმე «სტახონოვიზმი» ყოფილა. ზედამხედველები კანტროლს უკეთებდნენ ტელეფონზე მომუშავეთ, სტახონოვურად თუ მუშაობენ».

დამონებულითა ქვეყანაში «სტახონოვიზმის» უკვდავების წყაროდ იქნა აღიარებული. ყველას ეგონა, აგერ მივალწიეთ სტალინის იდეალსო, რომელიც მან დიდი ხანია დაისახა: «დაეწიე და გაუსწარი ამერიკასო». რამდენი კილომეტრის მანძილია ამ ორ ქვეყანას შუა, იმდენი წელი უნდა ამ დაწევას! ამერიკელ და რუს მუშის შესადარებლად მივიყვანთ ადგილს ვილიამ ჩამბერლენის წიგნიდან. ჩამბერლენი არის ცნობილი მწერალი, «ქრისტიან საიენს მონიტორი» ის კორესპონდენტად იყო მოსკოვში 12 წელიწადი. მან დაწერა რუსეთის შესახებ ორი წიგნი, უკანასკნელი «რკინის ხანა» მას შემდეგ, რაც რუსეთი დასტოვა. ეს წიგნი მეტად საინტერესოა, ვეცდებით სხვა დროს ამ წიგნს ისევ დაუბრუნდეთ, ახლა კი მოვიყვანთ ჩვენი მაგალითისთვის ამ წიგნის 57 გვერდიდან ერთს ამონაწერს: «ცინკის ქარხანა ქალ.

ორჯონიკიძეში დღეში იძლევა ხუთ ტონა ცინკს. ქარხანას ჰყავს 300 კაცი მოსამსახურე და 1600 მუშა. ამერიკაში, ქალ. სანტლუისში ამისთანა ქარხანა იძლევა 50 ტონას დღეში. იქ არის 16 კაცი სამართველოში მოსამსახურე და 170 მუშა». თითო კაცზე ამერიკაში მოდის 137 გირვანქა, რუსეთში 6 გირვანქა».

დაუბრუნდეთ ისევ «სტახონოვიზმისას». არ გასულა სამი თვე და მოდის ცნობა, რომ სასწაული აღარ მოქმედობსო. სტახონოვიზმი, როგორც ბევრი რომ სხვა, დამარცხდა.

«ნიუორკის ტაიმისი» და ნიუორკის «ჰერალდ ტრიბუნის» (17 მარტის) კორესპონდენტები იწვრიბიან, რომ სწორედ იმ დონბასში, სადაც სტახონოვიმა თავი ისახელა და მართვლობამ სხვა მუშებიც გაქუსლა და დააჩქარა, დღეს იქ ნორმაზე ნაკლები წარმოება არისო. ზოგიერთ მალაროვში სტახონოვის მეთოდი მთლად მიუტოვებიათ და ძველზე გადასულანო. «პრავდას» სიტყვით ბრალი დირექტორინჟინერებისაო: «დამპალი ოფიციალური ფეხქვეშ თელავენ სტახონოვიზმის ინიციატივას. მუშების უმეტესობას უნდა სტახონოვიზმი, მაგრამ გზა უნდა გაიწმინდოს საბოტაჟნიკებისგანო»...

«იხვესტია» სჩივის: «შედეგები სტახონოვიზმის სპილენძის მრეწველობის დარგში სრულებით არა დამაკმაყოფილებელია. სხვაგანაც, მაგალითად, მეტალურგიაში უწინდელ ნორმაზე უფრო ნაკლები არისო». საერთოდ, თურმე, მდგომარეობა ისე სერიოზულია, წარმოება და მუშაობა ისე დაცემულია, რომ ორჯონიკიძის მოუხმია დირექტორები ქარხნებ-ფაბრიკებისა და მოუწოდებია მოენახათ მიზეზი უბედურებისა, მაგრამ ვერავინ შესძლო მიეცა სანუგეშო რჩევაო.

«ნიუორკის ტაიმისი» მოსკოველი კორესპონდენტი პ. დენნი ამბობს: «ქვა ნახშირის მერე საბჭოების უფრო მნიშვნელოვანი საექსპორტო საგანი არის ხე-ტყე, რომლის მოჭრა მეტად ცუდ მდგომარეობაშიაო, არხანგელსკიდან ცნობები მოდის, რომ იქ კარგად მოწყობილი საბოტაჟია სტახონოვის მოძიკობის წინამდებ. ზოგიერთ ალაგს გაფიცვებიც არისო. აგიტატორები მოუწოდებენ კოლექტიურ ფერმებს, რომ უარი განაცხადონ ხის მოჭრასა და გაზიდვას. საბჭოების ოფიციალების გაცეცხლები-სა და ამ ფაქტის გამომჟღავნებიდან სჩანს, რომ მდგომარეობა სერიოზულია, და ისენი კარგავენ მოთმინებას, რასაც რასაკვირველია მოჰყვება დაუნოგველი დასჯაო».

ნიუორკის «ჰერალდ-ტრიბუნს» მოსკოვიდან ატყობინებენ (17 მარტი), რომ «სტახონოვიზმი»-თან ბრძოლამ სოფლებშიც და კოლექტივებშიც თავი იჩინაო. მაგალითად, სტალინის მიერ ლენინის ორდენებით დაჯილდოვებული საუკეთესო საწველი ძროხები (სახელები მოყვანილია) მოკლული იქნენო. ერთი მოხდა სტალინის სახელობის ფერმაში იაროსლავის ახლო, მეორე ნიჟნის ფერმაშიო. ძროხის მომვლელი გოგო პენკოვა მოსკოვში სტალინთან იყო და ლენინის ორდენს ღებულობდა, როცა ფერმაში ძროხა მოკლესო. ძროხებს მუცელში უნახეს ნემსები და ლურსმებიო.

საქართველო
საქართველო

ამ მოვლენებს ყურადღებით და შიშით უცქერი-
ან მოსკოვი არა მარტო იმიტომ, რომ ეს არის პი-
რველი ანტი სტახანოვი მოძრაობები, არამედ
იმიტომ, რომ ჯერ კიდევ კარგად ანსოვთ მართვე-
ლებს. როცა გლახობა ეწინააღმდეგებოდა კოლექტი-
ვებში შესვლას და მასიურად საქონელს ხოცავდაო.
იმავე გაზეთის ცნობით, საქონლის მოშენება,
მიუხედავად მიღებულ დიდ ზომებისა, რევოლუცი-
ის წინა დროისაზე უფრო უკან არის. თვით საბჭო-
ების სტატისტიკიდან სჩანს, რომ 1916 წელში 59 მი-
ლიონი ძროხა და ხარი ითვლებოდა, ახლა კი 49 მი-
ლიონი არის.

საბჭოებ-საფრანგეთის «ალაენის» ამერიკის
პრესას სამი წლის წინად აქ მომხდარ «მეგობრობას»
აგონებს, როცა შვაში გაყოფილი პრესა ერთიმეო-
რეს უმტკიცებდა, რა სიკეთეს ან უბედურებას მო-
უტანდა რუსეთი ამერიკას—მილიარდებს თუ კომუ-
ნიზმს. დროს მსვლელობამ დაამტკიცა, რომ ამე-
რიკაში არც ერთს ჰქონდა ადგილი, არც მეორეს.
მილიარდებზე ლაპარაკიც მეტია. რუსეთ-ამერიკის
აღებ-მიცემა თანდათან უკნება...

რაც შეეხება კომუნიზმის დათესვას—ამერიკის
მიწა საფრანგეთისაგან ნოყიერი ვერ გამოდგა. კლ-
მუნიზმმა ვერ იხერია. ამ ნიადაგზე ბევრი კურობ-
ხული მოვლენებიც ხდება. მაგალითად, ორ სხვადა
სხვა სასამართლოში ცალქმარის გაყრის საქმე ირ-
ჩეოდა. ორივე შემთხვევაში ქმარი ჩივოდა, რომ მი-
სი ცალი კომუნისტი იყო და ითხოვდა მისგან გან-
თავისუფლებას და შვილების ჩამოერთმევას. ორივე
შემთხვევაში სასამართლომ ქმრების თხოვნა შეიწ-
ყარა...

ნაური.

საქართველოს საკითხი

საქართველოს დაპყრობის 15 წლის თავზე ბლ-
შევიკების მიერ გამართულ დღესასწაულის გამო,
პრესის ქართულმა ბიურომ ქენევაში მთელი ქვეყ-
ნის 145 უმთავრეს გაზეთებს მოწოდება დაუგზავნა,
რომეო ლშიაც აღნიშნულია, თუ როგორ მოხდა 1921 წ.
25 თებერვალს თავისუფალი საქართველოს დაპყრო-
ბა წითელი არმიის მიერ, თუ როგორ აუჯანყდა ქა-
რთველი ერი 1922. 23 და 24 წლებში ბლშევიკურ
მთავრობას და როგორ დღესაც განაგრძობს ბრძო-
ლას თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ხოგიერთმა გაზეთმა სავსებით დაბეჭდა ეს მო-
წოდება.

ხოგამა კი ცალკე წერილი უძღვნა საქართველოს
საკითხს, მაგალითად, პარზის «ყურ»-მა. ეს უკა-
ნასკნელი სხვათა შორის სწერს: «ამაოდ მოუწოდებს
ქართველი ერი ერთა ლიგას, რომელიც დაკმაყო-
ფილდა მხოლოდ იმით, რომ მიმართა საბჭოთა სი-
ბრად უღეს და სამართალს. ქენევა ფიქრობს, რომ ეს
თეთრი რასის ერი ნაკლები ყურადღების ღირსია,
ვიდრე მონობის მომხრე ნეგუსი. და საქართველო

არ მიიღებს ერთა ლიგისაგან არც იარაღს, არც სან-
ქციებს, არც სესხს, არც სხვა რაიმე დახმარებას,
რომელსაც ერთა ლიგა და ინგლისი შეუძლებულნი
აწვდიან დღეს ეთიოპიას».

დასასრულ «ყურ»-ი აღნიშნავს, თუ რა ფარისე-
ვლურად იდღესასწაულა მოსკოვმა საქართველოს
«მუშათა და გლეხთა განთავისუფლების» 15 წლის
თავი და ამავე დროს ეს მუშები და გლეხები ნამდ-
ვილ მონებად არიან გადაქცეულნი. გაზეთი აფრთხი-
ლებს ფრანგებს საქართველოსთან რუსეთის მიერ
დადებულ ხელშეკრულების მაგალითით: ჩვენთან
დადებულ პაქტსაც ასე დაფხრიწავენო.

პ რ ე ს ა

ქენევის ცნობილი გაზეთი «ყურნალ დე ქენევი»
შემდეგ სტრიქონებს უძღვნის რუსეთთან ხელშე-
კრულობის დამტკიცებას საფრანგეთის პარლამენ-
ტის მიერ: «საფრანგეთ-საბჭოების პაქტის განხილ-
ვას დეპუტატთა პალატამ ექვსი სხდომა მოანდომა
და თუ რამ დარჩა აქედან, ეს მხოლოდ მაგიური ცი-
ფრი 170 მილიონისა. პაქტის მომხრეებისთვის ეს
იყო უდიდესი საბუთი და საარჩევნო კოზირიც. მო-
წინააღმდეგენიც კი ამ ციფრის წინაშე უფრო დუმილს
ამჯობინებდენ. მაგრამ იმავე პალატაში, სხვა პირო-
ბებში რამდენჯერ წარმოუთქვამთ უკრაინის სახე-
ლი, მაგალ. როცა ლაპარაკობდენ, რომ პიტლერს
უნდა ამ ქვეყნის ხელში ჩაგდება! ფრანგ დეპუტა-
ტებს არ შეუძლიათ არ იცოდენ უკრაინის არსებო-
ბა, რომელიც თავის ტერიტორიით და მკვიდრთა
რაოდენობით მათ სამშობლოს უდრის. კავკასიის
ერები? მათი დავიწყება როგორ შეუძლიათ, როცა
ახსოვთ პუანკარეს სიტყვები, 1922 წელს წარმოთ-
ქმული მათ წინაშე: «ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ამ ქვე-
ყნის წარმომადგენლად გენუის და ლოზანის კონფე-
რენციებზე იყვეს ხელისუფლება, რომელმაც ძალით
დაიკავა იგი». რაღა ვსთქვათ საქართველოზე, რომ-
ლის მწარე ხვედრზე არა ერთხელ მიუთითებდენ
ფრანგი დეპუტატები კომუნისტებს, სახალხო ფრა-
ნტის დღევანდელ ლიდერებს? განა თვით ჰერიო არ
იყო, რომ საქართველოს «აღმოსავლეთის ბელგია»
უწოდა? ან წაიშალა ქარტიდან ვოლგის, ურალის
თათრობა?»

გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბ-
ჭოთა 170 მილ. მცხოვრებში ნახევარი არა რუსის
ერია, დაჩაგრული მოსკოვის ძალით, რომელთაც
სრულებით არ სურთ იმომნ რუსეთის დასაცავად.

შოთა რუსთაველის დღესასწაული

მომავალ 1937 წლისათვის მზადდება შოთა რუსთაველის 750 წლის თავის დღესასწაული. ჩვენ დღემდე არ ვიცით დანამდვილებით ამ თანასწორის არ მყოფე პოეტის არც დაბადებისა და არც გაცვალების წელი და ვეყრდნობით მხოლოდ დაახლოებით ვარაუდს, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ შეამცირებს ამ დღესასწაულის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას.

შოთა რუსთაველის მზგავს და ტოლ პოეტთა ჩამოსათვლელად ადამიანს ცალი ხელის თითებიც კი არ ჰქირდება სავსებით. არ ცდება ცნობილი პოეტი, «ვეფხისტყაოსნის» რუსულად მთარგმნელი, კ. ბალმოტი როცა სიყვარულის მგოსანთა რიცხვს მთელს მსოფლიოში ოთხით განსაზღვრავს—რუსთაველი, დანტე, პეტრარკა, მიქელ-ანჯელო—და მათ შორის პირველობას რუსთაველს აკუთვნებს. მისი დაფასებით «ვეფხისტყაოსანი» არის «სიყვარულის საუკეთესო პოემა, რომელიც ოდესმე წარმოშობილა ევროპაში, სიყვარულის ცისარტყელა, ცეცხლის ხილი ცისა და დედამიწის შემაერთით».

შოთა რუსთაველი და მისი «ვეფხისტყაოსანი» ქართველი ერის გენიის განსახიერებაა.

შეუძლებელია ისეთი ქართველის წარმოდგენა, სრულიად მივარდნილ კუთხის მწყემსიდან დაწყებული და უაღრესად წარჩინებულით გათავებული, — რომელსაც შოთა რუსთაველი და მისი პოემა არ გაეგონოს, «ვეფხისტყაოსნიდან» რამდენიმე ლექსი მაინც არ იცოდეს ზეპირად. შოთა რუსთაველი ქართველი ერის უკვდავი, სამარადისოდ ამოუშლელი სიყვარულია. ეს სიყვარული უმთავრესად უფრო ინსტიქტიურია და არა შეგნებულად ათვისებული და შესისხორცებული. ქართველ ხალხში უხვად არის გაფანტული «ვეფხისტყაოსნის» მარგალიტები, უკვდავი აფორიზმები, უაღრესად მუსიკალური ნაწყვეტები, მაგრამ მთელი პოემა, წარმტაც სიმშვენიერეთა მთელი თავიგული დიდ უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ უცნობია.

თავისთავად იგულისხმება, რომ კიდევ უფრო მეტად უცნობია მსოფლიოს ვე უდიდესი პოეტთაგანი საქართველოს გარეშე. არის «ვეფხისტყაოსნის» ინგლისური, გერმანული და უნგრული მთარგმანი, სამი წლის წინეთ პარიზში გამოვიდა კ. ბალმონტის რუსული მთარგმანი, რამდენიმე სხვა ენებზეც მოიპოვება ცალკე ნაწყვეტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელს უცხოეთში შეიძლება რამდენიმე ათეული კაცს გავგონოს რამე შოთაზე და მის «ვეფხისტყაოსანზე». დანტეს, პეტრარკის და სხვა მათ მზგავს პოეტებს საშუალო წრეებიც კი იცნობენ ყველა ქვეყნებში. არ მგონია მთელს დედამიწაზე არსებობდეს წერა კითხვისა და ლიტერატურის მქონე ისეთი ქვეყანა, სადაც ლიტერატურულ წრეებში მაინც არ იცნობდენ ბრეტონულ «ტრისტან და იზოლდას», ხოლო «ვეფხისტყაოსანს», რომელიც მანვე გაცილებით მაღლა დგას, მოწინავე განათლებულ ქვეყნებშიც კი არ იცნობენ.

ეს უდიდესი ნაკლია, რომლის გამოსწორება—რა თქმა უნდა—მოკლე დროში და ერთი დაკვრით არ შეიძლება, მაგრამ ვე იმას არ ნიშნავს, რომ ამ ნაკლის გამოსწორებას დაუყოვნებლივ არ შევუდგეთ. ჩვენ ხელიდან არ უნდა გაუშვათ არც ერთი მხებრხებული შემთხვევა და ყოველივე ვიღონოთ იმისათვის, რომ შოთა რუსთაველს დამსახურებული ადგილი მიენიჭოს კაცობრიობის დიდ მწერალთა შორის. ერთი ასეთი საუკეთესო შემთხვევა მისი 750 წლის თავი იქნება.

საფრანგეთში ამ დღესასწაულის შესაფერისად გადახდის ინიციატივა იკისრა ქართველ მწერალთა და ქურთალისტთა ასოციაციამ. ამ უკანასკნელის გამგეობამ უკვე მოაწყო პირველი თათბირი, რომელზედაც მოწვეული იყვენ ემიგრანტულ ყველა წრეების წარმომადგენლები და კერძო კომპეტენტური პირები. ექვს გარეშეა, რომ ასეთი თათბირები კიდევ მოეწყობა რამდენიმე, რათა შედგინილი იქნეს ღირსეული გეგმა და პროგრამა. ამ დღესასწაულმა უნდა გააერთიანოს მთელი ემიგრაცია და დღესასწაულის მოწყობაში ყოველმა ქართველმა უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი ქართველობა. უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისა, რის გაკეთებაც კი შეუძლია უცხოებაში გადმოხვეწილ ემიგრაციას. პირველი და მთავარი ამოცანაა უცხოეთს გავაცნოთ ჩვენი დიდი პოეტი, ვაგზობრივთ ქართული გენიის სიდიადე, სიღრმე და სიძლიერე. ეს იქნება ერთი უდიდესი ეროვნული საქმის გაკეთება.

ი. ჭ.

ომის საფრთხე და რუსეთის ემიგრაცია

ომის საფრთხე დღითი დღე აშკარა და რეალური ხდება. ეს საფრთხე ყოველის უწინარეს ემუქრება რუსეთს. ამ გარემოებამ დიდი მღელვარება და ამძრავება გამოიწვია რუსის ემიგრაციაში, რომელიც ორ ბანაკად გაიყო. ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ თუ ომი ატყდა, რუსის ემიგრანტები უნდა იქნენ იმ ბანაკში, რომელიც საბჭოების წინამდგე ამხედრდება. მეორე—«ობორონცები»—კი მოუწოდებენ ყველა რუსს, აუცილებლად დაეხმარონ რუსეთს თუნდაც ბოლშევიკურს მომავალ ომში. ვინაიდან თუ რუსეთი დამარცხდა, ამას მოყვება აუცილებლად მისი დანაწილება. «ობორონცებს» შორის ზოგი ემხრობა საბჭოებს პირობით (თუ რეფორმები მოხდება), ზოგი კი არავითარს სირობას არ უყენებს. ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, რუსის ემიგრაციის უმეტესობა რომელ მხარეზეა—«ობორონცებია» თუ «პარავენცები», ხოლო უნდა ვსთქვათ, რომ პირველები ბოლო დროს დიდს აქტივობას იჩენენ—სწერენ, კრებებს მართავენ, ცდილობენ საერთო ორგანიზაციის შექმნას.

ამას წინად სხვათა შორის, ასეთი კრება მოაწყო რესპუბლ. დემოკრატი. დაჯგუფებამ (ყოფილი კადეტები), რომელზედაც ილაპარაკა პ. მილიუკოვმა და მეტად უნუგეშოვად დაასურათა დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა.

ასეთია მისი სიტყვის მოკლე შინაარსი:

საქვეა ის შეხედულება, ვითომც კიტლერის გალაშქრება აღმოსავლეთისკენ (რუსეთისკენ) უთუოდ პარიზზე გაივლის. როცა გერმანია გაამაგრებს რეინის დემოლიტარულ ზონას, იგი საფარს გააკეთებს დასავლეთით და ამით გაიადვილებს თავდასხმას აღმოსავლეთზე (და აგრეთვე სამხრეთზე). პოლონეთი თითქოს ხედავს ამას და მზადაა მოუბრუნდეს თავის მოკავშირეს საფრანგეთს, თუ იმედი ექნება უკანასკნელის აქტივობის. მაგრამ თუ გერმანია უშუალოდ თავს დაესხა საფრანგეთის მოკავშირეებს და დადებულ ხელშეკრულებათა ძალით საფრანგეთი იძულებული იქმნა ამხედრდეს გერმანიის წინააღმდეგ, მაშინ საფრანგეთი დარჩებოდა ინგლისის დაუხმარებლად. იდენმა პირდაპირ განაცხადა, რომ ინგლისს არ აინტერესებს აღმოსავლეთი. ეს გარემოება მეტად რთულს მდგომარეობას ჰქმნის საფრანგეთისთვის.

ფრიად საგულისხმიერია ვაზ. «ტან»-ის წერილი, რომ ინგლისის ორბოფული პოზიციისა გამო საფრანგეთმა თავისი პოლიტიკა უნდა გადასინჯოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთისთვის არაა გამორიცხული პირდაპირი დალაპარაკება კიტლერთან და მორიგება გერმანიასთან. ფრანგულ პრესაში უფრო და უფრო გარკვევით გაისმის ამის ხმა. ხდება ერთნაირი გადატეხა და შესაძლებელია, გერმანიამ მოიპოვოს მოქმედების თავისუფლება აღმოსავლეთში რუსეთის ხარჯზე.

უბრალოდ მოქალაქეს არც ინგლისში და არც საფრანგეთში ომი არ უნდა. სულ სხვაა გერმანიაში...

ძაკრთველები სპარსეთში

თეირანში გარდაიცვალა კოსტანტინე გიორგის ძე მაქავარიანი, ყოფილი ოფიცერი.

ბიზლიოგრაფია

გ. ყიფიანი. ლექსთა კრებული. წიგნი პირველი გამოცემა დ. ხელაძისა. პარიზი 1935 წ.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ემიგრაციაში წიგნის გამოცემა მეტად ძნელი საქმეა; მით უმეტეს ძნელია ქართული წიგნის გამოცემა. ქართველი ემიგრაცია არ არის მაინცა და მაინც მრავალრიცხოვანი; და თუ ამას დაეუმატებთ, რომ ამ ემიგრაციის ერთი ნაწილისათვის მონმარტისა და პიკალის კაფედანსიგები, ქეიფი და ერთმანეთის ცემა-ტყეპა უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს, ვინემ წიგნის წაკითხვა, ეს სიძნელე ადვილი გასაგები იქნება.

მიუხედავად ამისა დროგამოშვებით მაინც ხერხდება თითო-ორჯოა წიგნის დაბეჭდვა და გამოცემა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევებში გამომცემელიცა და ავტორიც, გარდა იშვიათი გამოცაკლისისა, დიდ მსხვერპლს იღებენ, ხშირად გამო-

ცემის ხარჯების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იფარება წიგნის გაყიდვით და ისიც დიდის შრომითა და მეცადინეობით.

მიმდინარე წლის დამდეგს გამოვიდა გ. ყიფიანის ლექსების პირველი წიგნი. ცხადია, რომ საერთოდ ბედს ვერც ამ წიგნის ავტორი და მისი გამომცემელი აიცდნენ; ისიც ცხადია, რომ ასეთი შედეგი მათ წინდაწინვე ექნებოდათ გათვალისწინებული. მით უმეტეს არიან ღირსნი ქებისა და გამხნეების.

ამ ორიოდ სტრიქონის მიზანს არ შეადგენს ახალგაზდა პოეტის შემოქმედების დაფასება, ვიტყვი მხოლოდ, რომ მის ლექსებში მოცემული ნაღვლით სავსე სურათები მკითხველს გადააფრენს ჩვენს წამებულს ქვეყანაში, სადაც

«თავიანთ ამბავს ამბობენ მკვდრები,
მიწა გაშლილი ტყეის ბელტებათ
და შეტყევებში მხე იუნკრები».

სადაც

«მიწა არ დარჩა ერთი მტკაველი
სიკვდილით ტყეის არ დაეხვრიტოს».

მწარეა მოგონება. მწარეა განცდაც... მებრძოლი ერის სხეული მძიმე ჭრილობითაა დასერილი, «მაგრამ ის იბრძვის გრიგალის რხევით და გაიმარჯვებს, ასე იცოდეთ»...

კრებული შეიცავს ას გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქალაღზე და ღირს 10 ფრანკი.

o.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება რუსულ ენაზე დ. ვაჩნაძის ბროშიურა შემდეგი სათაურით: «გარუზია მეუღუ სევრომ ი იუგომ ს დრევენიშის ვრემიონ დო ნაშის დნეი». ეგ შრომა ავტორის მიერ წაკითხული იყო მოხსენებად, რომელსაც დაესწრენ უკრაინელები და ჩვენი მეზობელ ერების წარმომადგენლები. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ი. მანწკავას «მე-19 საუკ. ქართული აზროვნების განვითარება» ნაწილი I. წიგნი შეიცავს 200 გვ. ეღირება 10 ფრანკი.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:
M r Gogolachvili. 38, rue Boileau, Paris (16).

განცხადება.

კვირას 17 მაისს ნაშუადღევს 3 საათზე კაფე «სენტერენის» დარბაზში—27, ბულვარ ლა ტურ მობურგ (იმავე სახელობის მეტრო)

გ. ქუთული და ს. ფიონცხალავა

წაკითხავენ თავიანთ მოგონებებს.